

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საქართველო





ქურნალ „ჯეჯილისა“


I	ყმაწვილის სურათი: — რძეში უნდა ვაბანავო!	258
II	სურათი — ლექსი გ. ქუჩიშვილისა	259
III	გონიერი მაიმუნი	260
IV	ეკლიანი ბუჩქი — (ბაკოვისა)	261
V	საოცარი ჯეჯილი (ნორვეგ. არაკი) განა საათაშვილისა	262
VI	მეხბორე გიგა ლექსი კიკნა ფუჟეელისა	265
VII	ფიამეტინა (ფრანგულიდან) ბაბო ავალიშვილისა	267
VIII	ტკბილი სიზმრები (გადმოკეთებული) მარა გაბაშვილის მიერ	273
IX	წვრილმანი: ხალხური ლექსები, შარადა, გამოცანები და გასართობი	279
<hr/>		
X	ხმები გაზაფხულისა ლექსი გელასი	281
XI	ბიძიას ნაამბობი — ალ. ნათაძესი	283
XII	დავით კოპერფილდი ჩარლს დიკენსის მოთხრობა (შემდეგი) თარგმანი ელ. კარბელაშვილისა	292
XIII	სირ-ბუზი და სირ-აქლეგი ალექსი ჭიჭინაძისა	302
XIV	გემი „ტიტანიკის“ დაღუპვა ეპ. გ — ს	309
XV	მტკვარი, ქოროხი და რიონი, მგზავრის დღიურიდან (შემდეგი) ილ. ალსანიშვილისა	313
XVI	წვრილმანი: გეოგრაფიული ამოცანა, გამოცანა, რეზუსი და გასართობი	319

ჯეჯილის 1912 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ დასურათებული ზღაპარი

ლ რ მ - ქ ა ს ი

გიორგი წერეთლისა.

რედაქცია უმოწილესათა სთხოვს ხელის მომწერლებს, რომ ვინაც არა აქვთ სრულად შემოტანილი სვედრი ფული დაახეარონ, თორემ ქურნალის ცხვენა შეკერდება.



საქართველო ნახატებიანი ქურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპური, გახდი ყანაო..

ი. დ.

პაისი, 1912

◆ წელიწადი მეოცდასამე ◆

თ ბ ი დ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1912



ბავშვი უნდა ვაბანავო!

ს ყ რ ა თ ი .




აწაფხულის ბრწყინვალე მხემ
მთა-ბარს გული გადუშალა,
ასმატკებილდენ ჩიტუნები
სიცოცხლო იგრძნეს ძალა.

ეჲ აუვაჲდა, შეიფოთლა,
ხურმუსტა მინდორ-ველი,
აიღ ჭირ-ნახულ გლეხის ჯეჯილს
იავს ეკლება სიო ნელი.

ოთქოს ასე დასძანოდეს:
„იხარდე და იხარეო,
შენ გეტრფის და შესით ცოცხლობს
შრომის შვილი მწუსარეო“.

შორაკრაკე ცელქი წვარო
იმეორებს ამ სიმღერას,
და მეც, მათი მოხიარე,
ვიორკეცებ გულის ძეგრას.


გ. ქუჩიშვილი.



გონიერი მაიმუნი



მონადირემ მაიმუნს თოფი ესროლა. და-
კოდილი მაიმუნი ხის სულ ქვეითა ტოტს
მოექცა, თითქო მონადირეს უნდა მი-
ვარდესო, მაგრამ უცბათ შედგა, ხელი
წენარათ იარაზე მიიღო და შერე მთლათ გასისხლია-
ნებული მონადირეს დახახვა. მონადირეზე ამან და-
ლიან იმოქმედა და ამ დღიდან თაგის დღეში აღარ
უსროლია მაიმუნისთვის. საბრალო მოკვდა, მაგრამ
მოკლული მაიმუნი ვერსად იპოვეს, თურმე სხვა მაი-
მუნებს წაელოთ.



ეკლიანი ბუჩქი.



პატარა ოლა შეწუ-
სებულია: დღეს დე-
დას გაჭევა სასეირ-
ნოთ. მან შორიდა-



ნვე დანახა ბუჩქი შემკული
პირისფერი ვაზილებით. გოგონას თვა-
ლები გაუბრწყინდა, სწრაფლათ მიირ-
ბინა ბუჩქთან, აი მისწვდა კიდევ ვვა-
ვილს. ის იყო უნდა მოეწევიტა, რომ
უსცბათ სასე დაეღმანჭა და კინაღამ ტი-
რილი ძორთო. თურმე ნუ იტყვიოთ—
ბუჩქს ვვაზილების გარდა კიდევ ეკლე-
ბიც ესხა და აი ამ ეკლებმა უხვლი-
ტეს ოლას. დედა ბუჩქთან ფრთხილათ
მივიდა, მოსწევიტა რამდენიმე ვვაზილი და ოლას მის-
ცა. გოგონა დამშვიდდა, მაგრამ დიდხანს ვერ ეკარე-
ბოდა ეკლიან ბუჩქს.

151

დედამ დაიწყო ვვაზილების კრეფა და აკროვებდა
მოტანილ კალათაში.

— ამ ფურცლებიდან მურაბას მოვსარძავ, უთხრა
დედამ ოლას.

ოლამ ნახა, რომ დედის თითებს არა სჩხვლევტს
ეკალი და თითონაც მოჭევა კრეფას. კალათი ძალე
გაავსეს და დედა-შვილი დაბრუნდენ სასლში. შინ
ფოთლები დაარჩიეს და მერე დედამ მოხარშა ამ ფო-
თლებიდან მურაბა, რომელიც ოლას ძალიან მოეწონა.

კამოიცხანით, ბავშვებო, რა ერქვა ამ ვვაზილს?

(ბავშვიდან)

საოცარი ჯეჯილი.

(ნორვეგიული არაკი)



რთ საფელში ცხოვრობდა ღა-
რიბი ქერივი ქალი, რომელსაც
ჭეხვდა ერთად-ერთი ვაჟი-შვილი,
იორგენი. ერთ დღეს იორგენი
დედამ გაგზავნა ბედლიდან ფქვი-
ლის მოსატანათ; იორგენმა ააფ-
სო კასრი ფქვილით, და ის იყო
ბრუნდებოდა, — რომ უცრათ
ამოვარდა საშინელი ქვენა ქარი
და ფქვილი ერთიანათ გაუფანტა.

ამ შემთხვევამ იორგენი ძალიან შეაწუხა და გუ-
ლიც მოუვიდა, რადგან ამის მეტი ფქვილი არა ჰქონ-
დათ. მივიდა დედასთან და უთხრა:

— აი, რას გეტყვი, დედა, — ჩვენ ქვენა—ქარმა და-
კვსაჯა, — უნდა ესლა წავიდე მასთან და დავაბრუნებო-
ნო გაფანტული ფქვილი!..

წავიდა იორგენი და იწყო ქვენა—ქარის ძებნა, —
და კითხვის კითხვით მივიდა ერთ უხარმახარ ვინუ-
ლის მთასთან, რომლისაგანაც ასე ვერსის მანძილზე-
დაც-კი საშინლათ ციოდა.

ქვენა—ქარი სასტიკათ შესვდა იორგენს და გაჯაფ-
რებით ჰკითხა:

— რა გინდა ჩემგან?..

— შენ დამიფანტე ჩემი ფქვილი, — უთხრა იორ-

გენმა, — და საჭმელათ აღარა გვაქვს-რა, დამბორუნე ფეკილი, თორემ აქედან ფეხს არ მოვიცვლი ჩაფიქრდა ქვენა-ქარი, მერე მიუბრუნდა იორგენს და უთხრა:

— ფეკილი მე არა მაქვს. მაგრამ ჩემგან მოყენებულ ხარალს გადავიხდი იმით, რომ მოგცემ იშვი ათ სორბალს; დათესე მიწამა და ნახავ რა იქნება!..

გამოართვა იორგენმა სორბალი, დაბრუნდა სახლში, დათესა სორბალი და მიანება თავი. მერე, რაძღენიძე ხნის უკან წავიდა ჟანის სანახავათ, — ხედავს, — რადაც საკვირველებას? . იქ სადაც დათესა სორბალი ბიბინებდა მძუენიერი ჯეჯილი, და ყოველ მის ღეროზედ ეკიდა ორი ოქროს თავთავი სავსე მარცვლით...

აი, რა უხვი მოსავალი ერგო!..

იორგენმა მოსწრა ჰური და მას აქეთ იწყო დედანთან ერთად უზრუნველი, მშვიდი და ძეუდრო ცხოვრება.

დადგა გასაფხული და იორგენმა კვლავ დათესა ამ სორბლით მთელი დღიური მიწა და წინანდელივით უხვი მოსავალი მოუვიდა, თითო ღეროზედ ორორი ოქროს თავთავი ეკიდა. სწორეთ საკვირველი რამ იყო, — წინათ ქვენა-ქარი ღუზავდა მოსავალს, და ესლბ-კი არც-კი იხედებოდა იმათკენ...

გამდიდრდა დედა-მვილი. ააშენეს დიდი ძვირფასი სასახლე და იწეეს ცხოვრება, როგორც მდიდარ ხალხს მუჭუფროდა.

ერთხელ იორგენი სახლში ბრუნდებოდა, წვიმიანი დღე იყო და გზა ატლახსებულიყო. იორგენს ფეხსაცმელი ტალახში ამოესვარა. როდესაც ის მიუახლოვ-

და თავის უნას, მოსწევიტა მთელი ბლუჯა ჯეჯილი
და იწყო იმითი ფესხაძემელების წმენდა...

ამ დროს, უცბათ ამოვარდა ქვენა-ქარი, დახნიქა
და წააქცია მთელი უანა. მერე იორგენს უურში გრია-
ლით ჩაჭევირბა:

— ღირსი არა ხარ შენ ჩემი საჩუქრისა, სახიზ-
ღარო ადამიანო!.. ცოტაა განა... რომ შენ თვითონ
შდიდრათ ცხოვრობ და მამდრათ სჭამ-სვამ, გაჭირვე-
ბულ ხალხს ლუკმა ჰურს არ აწოდებდა კიდევ ჩემ
საჩუქარსაც არ აფასებ?.. დღეიდან აღარ გექმნება მო-
სავალი. რაც არ შეგიჭამია, — იმასაც სრულიად გა-
ციფუჭებ!..

ის იყო ქარს უნდა ჰირი ებრუნა, მაგრამ აქ იორ-
გენის ძაღლი მივარდა და უთხრა:

— მე მაინც შემობრალე, ქვენა-ქარო! მე რიდას-
თვის უნდა განვიცადო სიმძილი?.. სომ არაფერში
ვარ დამნაშავე!

— კარგი!.. უთხრა ქვენა-ქარმა, შენ წილათ დავ-
ტოვებ ცოტაოდენ ჰურს და გაუხიარე შენს ჰატრონს.

მას აქეთ უოველ ჯეჯილის ღერზე იწყო თითო
თავთავის მობმა და იორგენი თავის დროზე ვერც-კი
ახერხებდა მოსავლის მოკრეფას, რადგან კვლავინდე-
ბულათ ქვენა-ქარი ამოვარდებოდა ხოლმე და აფუ-
ჭებდა მოსავალს ისე, რომ მთელი დღიურის ნათესი-
დან ნახევარი აღარ რჩებოდა.

ვანო საათაშვილი.





მესბორე გიგა.

ველ ტოლომით ძონძ განძებში...
გასცვეთია ქალაძნები;
ზურგზე გუდა... წკეპლა სელძი;
ასწეწია შავი თძები...

—
სასელადა გიგა ჰქვიან,
კლეს თედუას შვილი არი,
მესბორეა... თითის ტოლას
ძოვლილი აქვს ძთა და ბარი.

—
გიგა დილით, სოფლის ბოლოს
ძთელ სოფლის სბოს დააქუჩებს,
გაუეენებს სიძღერით კზას,
ძეაფარებს ღელე-ბუჩქებს...

—
ნამუძევარს ასლო ცქვიტობს:
ხან მოურბენს ეანიდანა,
ხან ზაქებს სწკეპლს — ხან ციკნებსა,
ხან წინ ურბენს — ხან უკანა...

—
ლად ველისკენ მიაძურებს,
სბორსა ძიან — ებრალება;
ინიც იცის — თუ არ გაძდა
სბორი სულ არ დასვენდება.

—
აი, ბალასს სბორი ძოსდო,
დაისვენებს ესლა კია;

მეტად უეჭარს, როცა სბორი
 ხრამა-ხრუძით გარს არტყია.


—
 არც თავის თავს დაივიწყებს:
 გუდაში სწველს დედა თხეხსა,
 ისაუსმებს და სიმღერით,
 ახმაურებს არე-ძთებსა.

—
 შუადღისას კალათსა სწნავს
 რაკი სბორი დაეურება:
 თუძცა საქმეც ისევ ახსოვს
 აქით-აქეთ იუურება.

—
 ან თხა არსით გაეზაროს,
 ან არ ნახოს მეველემა;
 ან ბატკანი არ მოსტაცოს
 წარაფიდან მხვერავ მკელმა.

—
 საღამოზე— როგორც დილით
 შინ მოუდის სიმღერითა:
 უსარიან—გახსარებს
 შაბათს მშობლებს ბეჭრი რძითა!

კიკნა-ფშაველი.



ფიანკინა.

(ფრანგულიდან)



ამერიკიდან საფრანგეთისკენ მო-
მავალს გემზე ჰატარა როსეცა
კამპოსი ძალიან მოწეწილი
იყო. ფოველ წელიწადს, მკათა-
თვეში ისინი დროს გასატარებ-
ლათ ევროპაში მიდიოდნენ სოლ-
ძე. კამპოსი, მდიდარი ბანკირი,
თავის სახლობას სამკვაფროთ
ევროპაში ჰკვანდა; ისინი მოკვარობდნენ მკვიცა-
რიაში ან იტალიაში. როსეცას
ძალიან უყვარდა ეს დრო, მა-
გრამ ოცდა ხუთი დღე გემზე ეო-
ფნა-კი ვერაფრათ ესაძოვნებო-
და. ან-კი რა გაარძობდა გემზე
ათი წლის ბავშვს: როსეცა მთე-
ლი დრო მკვაფრების მისვლა-
მოსვლას უეურებდა. ქალებს ელა-
ზარაკებოდა, ან დიდ დარბაზში
მუსიკას უგდებდა უურს. სშირად
ის თვალს გადაავლებდა სოლძე
იტალიელ მუშებს, რომლებიც თავის ოჯახობით გემის
ბაქანზე მირს ევარენ, ისინიც ამერიკიდან შინ მიემ-
კვაფრებოდნენ: იქ სამუშაო ვეღარ ემოვნათ და ისევ სამ-
ძობლოს უბრუნდებოდნენ. გემზე იყო მათი მთელი ბრბო





კაცებისა, ქალებისა, ბავშვებისა — მსე მოკიდებულნი, კუჭრივით შავი თმით და დიდრონი ბრჭყვიალა თვალებით. ეველა ჭრელი ტანისამოსით იუვენ. მათ შორის როსეტამ მაშინვე ერთი ემაწვილი შენიშნა. ეს ჰატარა თავის ტოლი სუჭუჭ-თმიანი, ლამაზი, მიმსიდეველი ქალი იყო. ბავშვი დარბოდა ერთი ჯგუფიდან მეორესთან, იცინოდა, მხიარულობდა თავის თანამგზავრებთან, როსეტა სულ ამას შეჭყურებდა.

ერთსელ როსეტამ სთხოვა თავის დედას ნება მიეცა ცოტა ხანი ამ ჰატარა ქალთან ეთამაშნა. დედამ გამდეული ვაგზავნა და ჰატარა ქალი მოაუვანა. ის ცოტა დარცხვენილი, მაგრამ მხიარული იყო. ბავშვი მაშინვე როსეტას დაუიეგობრდა. როსეტამ გაიგო, რომ ბავშვს სანტა ერქვა, მას მამა ჰყავდა, რომელიც იმულებული იყო იტალიაში დაბრუნებულიყო, რადგან ამერიკაში სამინელ გაჭირებას განიცდიდა. როცა ბავშვებმა კარგა გაიცნეს ერთმანეთი, როსეტამ თავისი დედოფალა მოუყვანა სანტას საჩვენებლათ. მშვენიერი დედოფალა იყო, თითქმის ჰატარა ბავშვის ოდენა, შავი თვალებით და გრძელი თმებით. სანტა გაშტერდა. ის ვერც-კი წარმოიდგენდა ამისთანა მშვენიერებას, რადგან თვითონ ნაჭრებისაგან აკეთებდა სოლმე დედოფლებს. მან მაშინვე იტალიური სახელი დაარქვა — ფიამეტრა — რომელიც ძალე ფიამეტრინათ გადაიქცა.

ამ დღიდან სანტა ეოველ დღე როსეტასთან მოდიოდა სათამაშოთ. რა ბედნიერი დღეები დაუდგა საცოდავ მუშის შვილს! ბანკირის ქალს მიჰყავდა თავის სასადილოში და ეველაფერს აჭმევდა. მერე ისინი მი-

ვიდოდენ სოლმე ფიაძეტიანსთან, ელახარაკებოდენ იძას, აცმეკედენ — ხდიდენ კაბას, აწვედენ, აძინებდენ და უურს უგდებდენ მძინარეს. როხეტას აღარ მოსწყენია. სანტას-კი ამაზე ტკბილი სიცოცხლე ვერც-კი წარმოედგინა. სანდისხან როხეტა მამაზე ელახარაკებოდა სოლმე. სანტას მამა ძალიან უყვარდა, მაგრამ მასთან ღაპარაკს ვერა ჰბედავდა, რადგან უბედურებამ საწყალი კაცი დააღონა და გააჩუბა. ერთხელ სანტამ დაანახვა როხეტას თავისი მამა გემის ბოლოზე მჯდომი მარტოთ. ქუდი თვალებზე ჩამოფხატოდა და ნახევრათ ჰფარავდა პირისხეს, რომელზედაც სმირი, გრძელი, შავი წვერი ჰქონდა. ის ორ ჰატარა ქალს ვერა ჰხედავდა, ძალიდან რომ დასცქეროდენ, რადგან მწარედარდებს შეეჭრო.

ბოლოს, ერთს დილას, განთიადისას, გემი ნავთსაუუდერში შევიდა. აქ, ქალაქ მარსელში, როხეტა უნდა ჩამოსულიყო თავის მშობლებთან ერთათ, სანტაკი თავის მამით იტალიის ქალაქში, გენუაში, უნდა წასულიყო.

წარმოიდგინეთ, რა ძნელი უნდა ყოფილიყო ამ ორი ემაწვილის განშორება. ჰატარა სანტა ქვითინებდა თავის მეგობრის განშორებით და წარსულ ბედნიერ დღეებს იგონებდა. როხეტაც ძალიან დაღონებულიყო და არ იცოდა რითი გაექარვებინა სანტას მწუხარება. ბოლოს იმისმა კეთილმა გულმა ერთი ახრი ჩააგონა.

— წამოდი, ფიაძეტინა წამოიდე, მენ გაჩუქებ.

— ფიაძეტინა! წამოივიგირა სანტამ და თან თავის



სძენას არ უჯერებდა.—ძარტლავ? ოს, რა კარგი ხარ
როსეცა! მე შენ არასოდეს არ დაგივიწყებ!

დილით, როცა გემი გენუასკენ მიემგზავრებოდა,
როსეცა თავის გამძლიით წავიდა, რომ უკანასკნელათ
კამოსთხოვებოდა თავის ჰატარს მეგობარს სანამ გე-
მი მიიძახებოდა როსეცა დიდ ხანსა ჰხედავდა სან-
ტას, რომელიც ხელს უქნევდა როსეცას; ხელში ფია-
შეტინა ეჭირა და ისიც თითქოს ხელებს უწვდიდა თავის
წინანდელ ჰატარს დედას.

* * *

ორმა წელმა განვლო. კამპოსი თავისი ცოლ-შვი-
ლით იტალიაში მოგზაურობდა: ისინი სხვებთან ერ-
თათ ჩასსდენ დილიჯანში, რომელიც ერთ მთის მი-
რამდინ მიდიოდა.

საშინელი სიცხე მგზავრებს სთენთავდა. ცხენე-
ბი ძლივს მიათრევდენ ჩასაჯდომს ორ კლდის შუა.
ამ დროს უცებ განიძა თოფის სმა! რა მოხდა! მეექვ-
სე ცხენები დააყენა. შეშინებული მგზავრები ჩამო-
ვიდენ და შეიტყენ, რომ დილიჯანი ეჩალებმა დააყე-
ნესო. ამ ხალხის დანახვასე როსეცა კანკალმა აიტა-
ნა, ისინი თოფებით მგზავრებს შეპოერტეენ. ასეთი
შემთხვევა სშირი იყო ამ ქვეყანაში და ძალიანაც არ
გააკვირვა კამპოსის თანამგზავრები.

— ამ იტალიელების ბრბოს თავს ადვილათ
ველარ დაუახწევთ, სოქვა ვილაცამ.

— ალბათ იცოდენ, რომ ჩემი კაი ფასს აიღებ-
დენ, უთხრა კამპოსმა თავის ცოლს—დამშვიდდით
ორივენი, თუ ისინი სასუიდელს მოკვთხოვენ ჩვენი

განთავისუფლებისათვის, — სწავრო თანხა თანა მატკს.

პატარა ქალი ძალიან შეწუხდა. ორი დღის განმავლობაში მკვარვები იძულებულნი იყვნენ ფეხით ევლოთ კლდეებზე და ჰურსა და წუაღზე გადაევლოთ. დაქეს ცას ქვეშ მიწასზე ატარებდნენ. უახლეს ტყვეები მიჭყვანდათ თავის ბრბოს წინამძღოლთან, რომელიც სიმაძხვითა და შეუბრალეობით იყო განთქმული. როგორც იყო მივიდნენ კიდევ. კამძოსი ცოლ-შვილით ჰირველათ შეიუვანეს წინამძღოლის ქოსში გამოსაკითხავათ. საწუალი როსეცა კინაღამ შიშით არ მოკვდა, როცა ბრბოს საშინელი წინამძღოლი დაინახა. ეს იყო ძალიან ტანის კაცი, გრძელ წვერიანი, სახე მოღუშული და ხალკლიანი თვალებით. ქოსი სავსე იყო თოფებით, დაძახებით და დანებით. ოთასში ერთი უბრალეო მაკიდა, რამდენიმე პატარა სკამი და საწოლი იდგა. საწოლის ზევით-კი თაროზე ხელებ გაძლილი მძვენიერი მავთვალეებიანი და გრძელ თმებიანი დედოფალა იდო.

როსეცამ ერთი შეჭვეირა: „ფიამეტინა“.

ბრბოს წინამძღოლი შეკრთა და სწრაფათ იმისაკენ მიბრუნდა.

— თქვენ იცნობთ ამას, ქალბატონო? ჰკითხა მან.

— დიას, ვიცნობ, ეგ მე ვაჩუქე სანტას გემით რომ მოვიდოდით, სანტა აქ არის? სად არის? ოს, მე ძალიან მინდა მისი ნახვა.

ამ კაცის სახე უარესათ მოიდუშა.

— თქვენ იმას ვეღარა ნახავთ. ექვსი თვეა რაც საბრალე ბავუვი მოკვდა; მხოლოდ ეს-ღა დამჩნა მის სახსოვრათ.




— მოკვდა! ძუწხარეთ გაიმეორა როსეტამ

— ბატონო, უთხრა მაშინ ბრბოს უფროსმა კამპოსს— მომიტყვევეთ, რომ ასე შეგაყენეთ. მე რომ მცოდნოდა... ეს დედოფალა, რომელსაც მე წმინდანით ვინახავ, უდიდესს სინარულს ჰკვრიდა ჩემ საწეაღს, ჩემს საუფარულს სანტას. როცა კვდებოდა გვერდით ჰქვავდა. ეს კი თქვენმა ქალმა აჩუქა მას. სიღარიბემ მე უჩაღათ გამხადა, მაგრამ გული ჩემი კი მთლათ როდია დასშული, არც დაისშვება იმათთვის, ვინაც ოდესმე სანტა ჰქვარებია. წაბძანდით! სამივენი თავისუფალნი ხართ! მე აქ მხოლოთ ერთი ურემი და ერთი ბებერი ცხენი მახადია, იმით გაგკსაზნით მას-ლობელ სოფლამდის“.

პატარა ხანს უკან ურემზე მჯდარი როსეტა დედას ეუბნებოდა:

— განა გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენი სიცოცხლე დედოფალამ გადაარჩინა, ჩემმა ფიაშეტიანამ! და მერე დაუმატა— საწეაღი სანტა! და თვალებიდან ცრემლები გადმოედინა.

ბაბო ავალიშვილისა.



ტკბილი სიზმრები.



ოკლი და ეკა მთელი დილა ეზოში თამაშობდნენ. ჯერ ქვაში ურეგდნ სელებს, მერე დამტვრეული კრამიტის სუსულებს ამენებდნენ, ბოლოს კიბის ქვეშ მძინარე ქათმები, ტაშის კვრით დაწოკკეს, წამოაფრინეს, ეზო და ბაღი მოარბენინეს.

დაღალულნი, სიცხისაგან შეწუხებულნი მარანში შევიდნენ.

— აქ არა ცხელა, ეკა, აქ ვითამაშოთ.

— კარგი, მოდი „სტუმრობა“ გავმართოთ; გოგლი, იცი, მე სასნიმინდები შევპვრები, ის ჩემი სახლი იყოს, აი ჰატარა ფანჯარაცა აქვს.

— მამ ჯერ ბაღში წავიდეთ, დიდი ფოთლები დაუგლიჯოთ, მითომ თებებია, თუთა და ქოლო მოკრიფოთ და სუდ დავაწყოთ.

ამ ლანჯარაკში გოგლიმ თვალი შეასწრო იქვე მდგომ პურის ვარცლს.

— ეს ვარცლი მითომ ჩემი საწოლია, მაგრამ არა-არა, ეკა, ვარცლი ნაზი იყოს, ავიდოთ ნიჩბები და წელზე ვიცურათ.

ბავშვები ჩასხდნენ ვარცლში, ერთი ორჯელ დაჭკრეს ნიჩბები მიწას, შეატოკეს ნაზი-ვარცლი და ნელ-ნელა ქანაობაში ტკბილათ ჩაემინათ.

ეკა სიზმარში ჰხედავს, ვითომ ნაზით ერთ ბაღთან




მიცურდენ; მწვანე ხეებიდან გამოჩნდა ჰატარა ქალი, თეთრი კაბიანი, ხელი დაუქნია და დაუძახა: „ჩემსკენ, ბავშვებო, ჩემ ქვეყანაში მობრძანდით სტუმრათ“ ეკა და გოგლი გადმოხტენ ნაჟიდან, მიესალმენ ჰატარა ქალს და თან გაჰყვენ.

— თქვენ მშვირები იქნებით, ისაუხმეთ და მერე გაჩვენებთ ჩემ ქვეყანას. აკე იმ ხეზედ ნახუქებია მოსსმული, მოიწვიტეთ თითო, ბუჩქებში კვერცხები იპოვნეთ და წამოდით რძის ნაკადულთან.

ბავშვები ეველაფერს სტუნაობით და სიცლით აკეთებდენ. მათ ეს ქვეყანა აოცებდათ და ახარებდათ. ხეები დაკუნწულნი იყო სხვა და სხვა ხილით და საჭმელებით. ტოტები თითონ იხნიქებოდენ ბავშვებისკენ, — თითქო ეუბნებოდენ „მოკრიფეთ და ისინა-მოვნეთო“.

მიწაზედ კენჭების ნაცვლათ თხილი, ნუში, წაბლი და ხურძა ევარა; ევაილები ათას ფრად გადაშლილი კანფეტებისა იყო, ზოგი ბუჩქი ძორთული იყო შეკოლადის ბურთებით, ზოგი ჰატარა ჩურჩხელებით, ზოგი აღჯანაბადით და ბუჩქების ქვეშ წითლათ ღვივოდა მსხვილი მარწუვი. ჭრელი ღამაში ჰეპელები ბუჩქიდან ბუჩქსე ფრინავდენ და ბავშვებს ეძახოდენ: „აქეთ წამოდით, ეს ხილი ნახეთ, ერთი მეორეზე კემრიელიაო“ ხეებსე შესხდომილი ჩიტუნები ჭიკჭიკებდენ, თავის ხის ხილს ქებ-დიდებს უძღვოდენ და ბავშვების სმენას ატკობდენ.

გოგლი და ეკა ახტაცებულნი მისდევდენ ჰატარა ქალს და რა ნახეს ეინვარი შაქრის მთები, და მთებ



შუა მოჩუხჩუხე ლიძონადების ჰატარ-ჰატარა წყაროები — სისარულთ ტაძის კვრა დაიწვეს.

— ეს ტკბილეულობის ქვეყანაა, მეგობრებო. მე მგონია ჩემმა ქვეყანამ განსამოვნათ. მეორეთ რო მახვალთ უფრო კარგათ დაგისვდებით. ჩემი ჭიაღუები გაიღვიძებენ, მუშაობას შეუდგებიან, თხილს, ნუშს დაამტკრებენ და დარჩეულს მოგაწოდებენ. ფუტკრებიც იმ დროისთვის თაფლის წყაროს მოამძადებენ. ნუ დამივიწყებთ კიდევ მესტუმრეთ, მე მიუვარს ჩემ ამხანაგებს ვანსამოვნო.

— ჩვენ დედასაც რო უვარს ტკბილეულობა, შეიძლება ისიც მოვიუვანოთ შენს ქვეყანაში?

შეეკითხენ ერთ სმათ გოგლი და ეკა.

— თქვენი დედაც, სხვა თქვენი ნაცნობი ბავშვებიც დაჭატიყეთ: ესლა-კი მოკრიფეთ ფერადი ევაფილები და გვირგვინები გაიკეთეთ. მეც შევკრავ ლამაზი ევაფილების კონას, რომელსაც ჩემს მაგივრათ მიართმევთ დედა თქვენს.“

როცა გოგლი და ეკა ევაფილებს კრეფდენ, მაშინ ჰეწელებმა და ჩიტებმა ჩააღაგეს მათ ნაჰში სხვა და სხვა სილი და ტკბილეულობა: ბალი, ვაძლი, მსხალი, კანფეტები, შეკოლადის ბურთები, ჰატარა უინვარი შაქრის მთა, შაქრის ლიტრებით ჩადგეს რძე და შეკოლადის ჩარეკებით ლიძონადები.

გოგლი და ეკა მოეხვივენ ჰატარა კეთილ ქალს, გამომშვიდობნენ იმის ქვეყანას, ჩასხდენ ნაჰში და სიძღვრით შინისკენ გაემგზავრენ...



ამ დროსვე გოგლის სსვა ქვეყანა ესიზმრებოდა. ზატარა ბიჭი, წითელი ბანჩლით ხელში იყო მათი მასპინძელი და წინ მიუძღოდა:

— ეს ქვეყანა, სათამაშოების ქვეყანაა, ბავშვებო, მობრძანდით. ჩემი მეგობრები: დათვი, ძელია, ირემი, კურდღელი, ციყვი, მაიმუნი და სხვანი, სათამაშოებით გაგარტობენ. ჯერ ტყე დაათვალიერეთ, მერე მინდორზე გავიდეთ. გოგლი და ეკა აქეთ-იქით იურობოდენ. ყოველი სის ქვეშ ზატარა ქონი იყო გამართული, რომლის კედლები, ჭერი მოერთოთ სსვა და სსვა სურათებით, შიგნით, ქონის კუნჭულები, განჯინები, თაროები სავსე იყო ათასი ნაირი, სათამაშოებით. აგერ ციყვის ქონი, კაკლებით აშენებული, სოკოსავით წამომჯდარა. ზედ სასურავზე ასკუზია ცქვიტი ზატრონი და თავისკენ ინძობს ბავშვებს:

„ჩემთან მოდით, ნახეთ ეს სათამაშოები, გაერთეთ. თუ გინდათ მეც თქვენთან ერთად ვითამაშებ; გინდათ თხილი ვაგორავოთ, გინდათ კაკლობანა გავამართოდ. მე სწრაფი ვარ, ერთ წუთში სის კენწეროზე მოვექცევი, მარდათ ვიცი ტოტიდან-ტოტზედ სტუნაობა, თქვენც გასწავლით თუ მოინდომებთ“.

აგერ ძელია გამოსულა თავის ქონთან. ბავშვების წინ დგას, იღიმება, კუდს იქნევს, რაღაცას უამბობს იმათ.

მაუმიანი დიდი ხანია ელოდება სტუმრებს: „ჩემკენ გამოემურეთ, ბევრ ოინებს გაჩვენებთ, რებუსების ახსნას გასწავლით“.



— „მეც თქვენი მეგობარი ვარ, მეც გამახარეთ.“
 — თავისკენ იწვევს დათუნია.

გოგლი და ეკა გაცემულნი, გაკვირვებულნი, ხან ერთ ქონთან მივლენ, ხან მეორესთან. ეველას ათვალიერებენ, ეველას შინჯავენ. აი მინდორსაც მიუახლოვდნენ. ჰატარა ურმები, ჰატარა ეტლები, ველოსიპედები, ავტომობილები, ჰეროზლანები, „ჰარავოზები“ გამწკრივებულიყვენ რიგზე. ცხენი, ვირი, ციკანი, ჰატარა კამეჩები იქვე დადიოდნენ. ამათაც ბავშვების მოსვლა გაუხარდათ, მიუახლოვდნენ და ეუბნებოდნენ: „თუ მინდომებთ, საითაც გინდათ იქით გავასეირნებთ.“

გოგლი ავტომობილში ჩაჯდა. მივიდა მინდორის ბოლომდის და ისევ დაბრუნდა; ეკასაც ჩავსვამ, სჯობია ერთად ვისეირნოთ.

ეკა კი გსახე ურმით დაუხვდა. ხარებს ერეკებოდა და თან ჰარი-არხლეს ძღეროდა.

მერე ორივემ ერთად რკინის გზა გამართეს, ჰეროზლანებით იფრინეს, გემით იცურავენ.

— ახლა სხვა მინდორში მომეყვით, უთხრა მას- შინძელმა ბიჭმა.

— აქ თუ გინდათ ბურთაობა ითამაშეთ. აი ჰატარა, აი დადი ბურთები. აი კვერცხებია აქ საგორებლათ დამხადებელი: ხედავთ — ბარი, თონი, ფოცნი, სარწვალი, თესლები; თუ გსურთ ბოსტანი შეიმუშავეთ. სადღურგლო იარაღებიც იქვე ქონში აწევია.

ბოლოს ბავშვებმა რო ნახეს ფოტოგრაფიული აპარატი, რომლითაც გოგლიმ ეკასი სურათი გადაიღო და ეკამ გოგლისა, სინარულით ორჯელ — სამჯერ მწვანე ბალახზე უირამალა გადაკოტრიალდნენ.



— „რა კარგი ყოფილა სათამაშოების ქვეყანა“ უბნებთდენ ესენი ერთი მეორეს.

— „მაშ მომიგონეთ ხოლმე და მოისურვეთ კიდევ ჩემი ნახვა. თქვენი ნავი ავსებულობს სათამაშოებით. ზატარა კურდღელი თან გამოგვყვებათ თქვენ გასართობათ. ჩემი წითელი ბაიროლი ჩემ სახსოვრათ ნავის თავზე გაამაგრეთ, რომ ყოველთვის ამძვენებდეს თქვენ ნავს. ესლა კი ნახვამდის, მეგობრებო, გზა მშვიდობისა“.

* * *

— ეკა, გოგლი, სადა ხართ? სადილის დროა, იძახოდნა დედა ესოდნა, — სად მიიძალენით თქვე ცელქებო?

ამ სიტყვებთან დედამ შემოისედა მარნში და დაინახა რომ ორივენი ვარცლში სსედან და მუშტუბით თვალებს იფშენეტამენ.

— დედა, დედა, მოდი რა მოგიტანეთ: ბევრი ხილი, კანფეტები, ჩვენ ტკბილეულობის ქვეყანაში ვიყავით.

— დედა, იცი, სათამაშოებით სახსე გვაქვს ნავი, ზატარა კურდღელიც თან წამოგვყვება.

ასე ლაპარაკობდენ ბავშვები და დედას უელზე ესეოდენ.

— ტკბილათ გძინებიათ, ჩემო ჭრუკებო, სიცლით უთხრა ბაღებს დედამ და ცარიელ ვარცლის დანახვით ჰირდადებული გოგლი და ეკა სადილის საჭმელათ წაიყვანა.

(გადმოკეთებული).

მარო ვაბაშვილისა.



სალსუური ლექსები.

(წარმოდგენილი გ. ჯონიძის მიერ)

მენახირის გუდა შერცხვეს,
მეტივისა — ჯალაბიო,
ვენაცვალე გუთნის დედას
მუცელი აქვს მაძლარიო.

—

მოჯამაგირის დღესაო,
არ დაეღევა კენესაო.

—

ეს სოფელი ასეთია,
მიეთი და მოეთია.

ჭ კ ა.

აფთარი ნადირია.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი გ. ფერაძის მიერ)

პირველი ჩემი მარცვალი
ნაცვალ-სახელი არიო,
მეორე — ერთი ასოა
მეთორმეტ რიგზე მჯდარიო;
მესამე არის ქალაქი
ძველ სომხეთშია მდგარიო,
მტრის შემოსევა უნახავს,
მაგრამ დგას უშიშარიო!
მთელი — სასწავლო ნიეთია
მალი-მალ მოსახმარიო.



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

(წარმოდგენილი გ. ჯენიძის მიერ)

წივის, წივის ყალანქარა
 თავს დასტირის მაქანქარა,
 უკუშ ქალო გაიხედე
 მოდის თუ არ საით არა.

ერთი რამ ვიცი მგელია
 საკვირველების მქნელია.
 ნადირს ჰკლავს, თვითონ არა სჭამს
 ეს არის საკვირველია.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი .

მთის ტოლა კომბოსტო.



ამდენიმე კაცა ყურს უფდებდა ერთ კაცს, რომელ-
 საც მოევლო მთელი ქვეყანა. ის უამბობდა მსმენე-
 ლებს ათას რასმეს და სხვათა შორის სთქვა: მე ია-
 პონიაში ვნახე ისეთი დიდი, უშველებელი კომბოსტოს თავი,
 რომ ორმოცდა ათს ცხენოსანს ადვილათ შეეძლო იმის ჩრდილ
 ქვეშ თავის შეფარებაო.

— მეც ბევრი მიმოგზავრნია, სთქვა ახლა მეორემ—და
 ერთ ქვეყანაში მეც ვნახე გასაკვირველი რამეო, ერთ ქვაბს
 აკეთებდნენო სამას სამასი მექვაბე და ეს მხოლოთ გარეთგა-
 ნაო, ერთი ამოდენაც შიგნიდან ამშვენიერებდენ ამ უზარ-
 მაზარ ქვაბსაო.

— მერე რისთვის იყო გამოსადეგი ეგ უზომო ქვაბიო?
 შეეკითხა მეორეს პირველი მობაასე.

— შენი კომბოსტოს მოსახარ შავათაო, მიუგო მეორემ.



ხმები გასაფხულისა.

მდინარე.



უნებამ ფრთა გამომასხა,
მუღმივი და შეუკვეცი,
მარად ტოკვა და ლივლივი;
ასეთია ჩემი წესი,
სიცოცხლე და ნეტარება
ექსოვება ჩემს გზას დიადს,—
მირბის, მიხტის განუწყვეტლივ,
ეგებება მძლე განთიადს!..

სიცოცხლე ვარ, სიამის ფრთა,
ვაბიბინებ მინდორ-ვგლებს
ჩემი ტოკვა და ლივლივი,
მთელს ქვეყანას აცხოველებს!..

—
არა, არ მსურს სისხლი, კვენესა,
ზიზლით ვუცქერ უძრავ შავს მთებს,
გაუმარჯოს სიცოცხლის ჩანგს,
გაუმარჯოს სიამის ხმებს!..

მ დ ე ლ ო .

გარიჟრაჟისას აღმოსავლეთი
როს განთიადით შეიმოსება,
როს გლოვის ჰიმნი მიაკრთობს სიმებს,
სირთა ჭიკჭიკი ლხენით იწყება,
როს ბუნების ფრთა გაღაღებულო
ტრფობის სამოსელს არხევს, იშლებს,
და ქორფა სხივი მაშვრალთ ქვეყნისკენ



მიმოციალებს, კოცნას ჰპირდება,
 როს გაზაფხულის პირველი ნამი
 ჩემს ლურჯს მკერდს ვერცხლათ დაეპკურება,
 დაიწყებს ციასს გაბრწყინვებული,
 ქორთა სხივები მოეფინება. —


— ოჰ, რა კარგია მაშინ სიცოცხლე,
 თვით სიცოცხლეს ვთხზავ, ვეტრფიადები,
 შორს, შავ უფესკრულში იმალებიან
 ბორბოტი სული, ავი ძალები!..

მაშ, მო... მოფრინდი, მომიახლოვდი,
 მოდი სინათლევ, ჩამოჰკარ ზარი,
 გლოვის ხმავ შეწყდი სამარადისოთ,
 შევებავ, მოქარგე სიცოცხლის ძალი!..

— ქეთიუ მანა ასრე იბრუნებ...

ცნობილია...


ქ. ი. ჯ. ი. ლ. ი.



...მეგობრებს მათთვის რომელიც
 ...მეგობრებს მათთვის რომელიც
 ...მეგობრებს მათთვის რომელიც

ბიძის ნაამბობი.

(ბავშვების ცხოვრებიდან)



იაკვნის თავ-გადასავალის შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა. სოფელი მიჩუმდა... ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა... ბევრი მოლოდინის შემდეგ ჩემი ძმა და ვასილ პეტროვიჩი რაზდენიმედლით ჩვენს სოფელს ეწვიენ... მიიარა-მოიარეს ჩვენი სოფელი... ნანგრევები... ნასახლარები... დაესწრენ მამითადას... ბევრი სურათი გადაიღეს და მეორედღეს აპირებდნენ სხვა სოფელში წასვლას, მაგრამ ერთმა გარემოებამ ხელი შეუშალა და ჩვენდა სასიხარულოთ ერთი დღე და ღამე კიდევ დარჩნენ ჩვენსას. ორი დღე ერთი ერთმანეთზედ უქმე დღეებია შეხვდათ... ამ შემთხვევით ვისარგებლე და წინადადება მიეცა ჩვენ სტუმრებს დარჩენილიყვენ სოფელში და დასწრებოდნენ სოფელურ ლიტერატურულ საღამოს. ამ საღამოსთვის პროგრამაც კი შევადგინე: მე ლექსები და სხვა და-სხვა მოკლე მოთხრობები უნდა წამეკითხნა, ვასილ პეტროვიჩი და ჩემი ძმაც დამპირდნენ ახალი ნაწარმოების წაკითხვას და შემდეგ დაიწყობოდა სახალხო ნაწარმოების გარდმოცემა გლეხების მიერ.

ბინდისას, როდესაც მღვდელმა „დაარისხა“*), მთელი სო-

*) როდესაც მეორე დღეს დიდი უქმეა, მღვდელი საღამოს ღონის შემდეგ ზარს ჩამოკეკავს და ატეობიებს ხალხს — რომ დიდი უქმეა და მუშაობა არ შეიძლება.

ფელი დედაბუდიანათ მოზვირთდა ჩვენსას. . მშვენიერი სალა-
 მო იღვა... დღის სიციხით შეყენებული ბუნება ახლა ახმაურ-
 და... ნელი ნიავი მიდი-მოდიოდა და ალაპარაკებდა ჩვენს
 ხეებს. მთვარეც მოიწმინდა ღრუბლებისაგან გამურული სახე
 და ჩვენებური პატარძალივით ლამაზი მოევლინა ჩვენს არე-
 მარეს. ხალხი მილაგ-მოლაგდა.. რაღაც დიდებული სანახაო-
 ბა იყო. ჩვენი მოხუცი სოლო ჩემმა ძმამ და მასწავლებელმა
 შუაში ჩაისვენს და რაღასაც ელაპარაკებოდნენ... მღვდელმა
 ჩემთან მოინდომა დაჯდომა... ჩვენი გიორგი დიაკვანი მორ-
 ცხვათ ღობეს მიჰყუდებოდა და იქიდან გამოიყურებოდა ჩვენ-
 კენ... მამასახლრსი და მწერალი მოშორებით იდგნენ და რა-
 ლასაც ჩურჩულობდნენ... ბურთის გაგორება პირველათ მე
 შემხვდა: თავიდან ბოლომდის ზეპირათ წარმოვსთქვი „დიმი-
 ტრი თავდადებული“, ამას მივყალე აკაკის წვრილი ლექსე-
 ბი... ავწკრიალე ხმა... ჩემი სიხარული და სასოება ჩავაქსოვე
 ამ ლექსებში და ხალხის თანაგრძნობა გამოვიწვიე. ამ წუთს
 ბედნიერათა ვგრძნობდი ჩემ თავს, მაგრამ უფრო ბედნიერათა
 გრძნობდნენ თავს ჩვენი სტუმრები, რომლის თვალები თანა-
 გრძნობით შემომცქეროდნენ მე და მთვარის შუქთან ერთათ
 ეფინებოდნენ მისი სხივები ჩემს გაჭარხლიანებულ სახეს...
 ჩემი როლი გათავდა... ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა... მე მო-
 ველოდი, რომ ახლა მასწავლებელი, ან ჩემი ძმა იტყოდა
 რასმე, ან წაიკითხავდა, მაგრამ მოვსტყუვდი... თურმე, რო-
 დესაც მე ლექსებს ვამბობდი, პაპა სოლოს ამათ სიტყვა ჩა-
 მოართვეს, ეამბნა რამე ჩვენთვის. ბევრი თხოვნის შემდეგ ასე
 დაიწყო ლაპარაკი, თავისი როდესღაც რიხიანი, მაგრამ ახლა
 სიბერისაგან ჩამქრალი ხმით:

„—ამ ბიჭის შემდეგ მე თუმცა აღარა მეთქმის რა, მაგ-
 რამ უთქმელობისთვის ეს ჩვენი სტუმრები სოფელს მუნჯს
 დაუძახებენ. მაშ მე ერთს ძველებურ ამბავს გვიამბობთ, თუ
 მოგეწონებათ კარგი, თუ არა და ვინც ამაზედ უკეთესი იცო-
 დეს, იმან გვიამბოს. სმენა იყოს და გაგონება.

ჩვენ სმენათ გადავიქეცით. სოლომანმა დაიწყო:

„...—მთავრად მინებამდე... მე მცნებობინებ მათ... ცხვენ მცნებო-
 ანგახენ რა ანგახენ... მე აქცე იღვა

„უნახავთ“ ყვევლი“

(საღმრთო თქმულება)

ერთს სახელმწიფოში, რომლის სახელიც ჩვენ თანდღობანთ სახელდასაც არ ახსოვს და აბა მე რა დამახსოვდებოდა, მდებარეობდა ერთი პატარა ქალაქი. ამ ქალაქს გარს ეხვია უზარმაზარი ქალა, ეკალ-უკალით ატეხილი, ქაობებით მოფენილი, ადამიანისთვის ძნელათ გასაგლეელი და პირუტყვთათვის უღაბნო. ამ ქალაქის მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ ამ გაუვალ ქალაქში, შუალამისას, ვიღაცა ბურთივით სინათლეს ათამაშებს: აისვრის მალლა, გადაიშლება ათას ფეროვანათ გაბრწყინებული და ეცემა ძირს. ასე ხდება ყოველ-ცისმარე დღეს გათენებამდის და, როგორც კი გათენდება, ეს ყველაფერი ქრება უჩინრათ. ამ მოვლენას ყოველ დღე ჰხედამენ მცხოვრებლები და შიშისაგან თავზარდაცემულნი ვერ ბედამენ შინიდან გარეთ გამოსვლას. მართალია გამოჩნდნენ ისეთი გულადი კაცები, რომელთაც მოინდომეს ამისი დარაჯობა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგანაც ვერც ერთმა ვერ შესძლო, რომ შუალამისას ღრმა ძილით არ ჩასძინებოდა.

ამავე ქალაქში სცხოვრობდა ერთი დიდი ვაჭარი: ამასა ჰყავდა სახი ქალიშვილი; თუმცა ორი უფროსი ამათგანი ლამაზები იყვნენ, მაგრამ უმცროსი ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ დღისით მზეს ეცილებოდა სილამაზეს და ღამეც კი მთვარეს. მის თვალ ტანადობაზე და გონებაზედ მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა. ეს უმცროსი ქალი მამას ძალიან უყვარდა და ანებივრებდა. უფროს დებს კი არ უყვარდათ იგი, რადგანაც მათი აზრი არ ეთანხმებოდა უმცროსის აზრს, მათი ხასიათი დაბლა იდგა უმცროსის ხასიათზე: უფროსი დები სულ მუდამ მხიარულობაში და მედიღურობაში ატარებდნენ თავიანთ დღეს, უმცროსი კი სულ მუდამ მოწყენილი და დაფიქრებული იყო—მისი აზრები ამ ქვეყნისა არ იყო.

ერთს მშვენიერ დილას უფროსმა ქალმა თავმოწონებით უთხრა თავის მამას:

— მამა! მე წავალ იქ, სადაც ცეცხლის ბურთს ათამაშებენ; წავალ, გავიგებ ყველაფერს, მე ვერაფერი ძალა დამძღვეს, ვერაფერი ვერ დამაძინებს გათენებამდისინაო“. მამამ



ნება მისცა. ქალი წავიდა იმავე ღამეს. ჩაიმალა ეკლებში, დაიწყო ლოდინი, ბევრი ხანი უმაგრდა, შუა ღამემ როდესაც მოაწია, ველარ გასძლო ქალმა და ღრმით ჩაეძინა... დილით რომ გამოეღვიძა შენიშნა, რომ მზეს ჩვენი სამების მთაზე უფრო ზევით აეწია და თავისი სხივები მიეთანტ-მოეთანტა ქვეყნის დასამშვენებლათ. წამოვიდა სახლში მოწყენილი, შერცხვენილი თავისი ტრაბახობით.

— მამავ! ახლა მე ვცდი ჩემს ბგდს, სთქვა შუათანა ქალმა... თავს მოვიკლავ და გამარჯვებული დავბრუნდები იქიდანაო. თქმა და წასვლა ერთი იყო. ზის, უცდის შუალამეს, მაგრამ ამას უფრო მალე მოერიოა ძილი და გათენებისას ქურდი კატასაებრ შინ გამოეპარა მზეს დარცხვენილი და შეწუხებული.

მოდგა ჯერი უმცროს ქალზედ.— მოდი წავალ მეც, სამლამეს არ დავიძინებ, გავიგებ რასმე და, თუ ვერაფერს გავიგებ, სახლში მე აღარ დავბრუნდები, რომ ჩემი დების დასაციონარი და ყბათ-ასაღებათ არ გავხდეო. სთქვა და წავიდა. ჩასაფრდა ეკალ-უკალში, გასძლო შუალამემდის, მაგრამ უეცრივ ძილი მოერი და ჩაეძინა. გათენდა. ქალს გამოეღვიძა, შერცხვა თავისი თავისა და სთქვა: — მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი; ამალამაც აქ დავრჩები და უეჭველათ გავიგებ— თუ რაცა ხდება აქაო. დარჩა მეორე ღამეც, მაგრამ ამ ღრომაც უნაყოფოთ ჩაუარა. დადგა მესამე ღამე... ბნელა, მაგრამ ცა ვარსკვლავებით მოქედლია... ქალი მაგრობს, თავს არ აღლევს ძილს... შუალამემაც მოაწია... ქალს არ სძინავს... მის გარეშე არაფერი ამბავია... ელის კიდევ... შუალამეც გადავიდა... კიდევ არაფერი ამბავია: ეტყობა ბურთის პატრონი ელის ქალის ძილს. . მეტის მოთმენა ველარ შესძლო და თავის დავიწყებით აისროლა მალლა ბურთი... წამოვიდა ათასფრათ, ცეცხლის ფრქვევით და დაეცა ძირს... ქალს უხარიან და ამბობს: — ვერ მამჩნევს უბედური, ისე გართულია თამაშობაშიო. უთუოთ დავიჭერ ამ ბურთსაო. ასეც მოხდა: ბურთის პატრონმა კიდევ აისროლა; ბურთი ძირს წამოვიდა მოხდენილათ და ქალს აკი ხელში ჩაუვარდა. ქალს გაუხარდა: ამ ნივთის შოვნამ ნათელი მოფინა მის ღრუბლიან სახეს. დაუწყა

თვალთვლება: აქეთ მოატრიალა, იქით მიატრიალა და ხელში ძვირფასი ნივთის მაგიერ უბრალო ფრთა შერჩა.

— რაც უნდა იყვეს, ამასაც თან წავიღებ, სთქვა ქალმა და გასწია სახლისაკენ.

უფროსმა დებმა შენიშნეს ეს უბრალო ფრთა და დაუწყეს დაცნვა და კრულვა:

— ქალბატონმა ჩვენზედ უბრატესობა მოინდომა და სამი ლამის თვეა ამ ფრთის შოვნით დაუსრულდაო“. ამან ყურიც არ უგდო დების ლაპარაკს, შევიდა ოთახში დასაძინებლათ. კარგათ რომ ჩამობნელდა და ყველას ეძინა, ამ დროს გაიღო ამ ქალის ოთახის ფანჯარა, შევიდა განსაცვიფრებელი სახის ემაწვილი კაცი, დილასაებრ ახალგაზრდა და მოწმენდილი ცასავით ლამაზი. ამისი სხივები მიადგა მძინარე ქალს და უეცრივ გამოეღვიძა. ემაწვილმა უთხრა მოკრძალებით:

— ეს რა მიყავი, რათ დამღუპე და მომტაცე ჩემი საყვარელი ფრთა, მე იგი მართობდა, მამხიარულებდა.

— მაპატიეთ, უთხრა ქალმა;—მე რა ვიცოდი, რომ ის ფრთა თქვენი იყო; ასე რომ მკოდნოდა, მე თქვენს წყენას ვერ გავზედამდი... მიირთვით, იგი ჯერეთ მთელი და გაუფუჭებელია:

— არა, არ მინდა, ჩემთვის მაგას აღარეფერი მნიშვნელობა აღარა აქვს ნას შემდეგ, რაც ადამიანის ხელში ჩავარდა. მე ყველაფერს გაპატიებ, რადგანაც მიყვარხარ და უშენოთ ერთ დღესაც ცხოვრება აღარ შემიძლიან. მე აღტაცებული ვარ შენი სილამაზით და გამბედაობით. ერთს გთხოვ: ნება მომეცი—ყოველ ღამე დაფარულათ მოვიდე ხოლომე შენთან და დავუტებ შენი ნახვით.

ქალს შერცხვა პარველათ, მორცხვი ყვავილივით თავი ჩაღუნა, მაგრამ როცა ცალი თვალთ აათვალ-ჩაათვალეირა ეს ვაჟ-კაცი, ამასაც სიყვარული ჩაეჭრა გულში, გაჩუმდა, გაწიალდა ჩვენი მინდვრის ყვავილივით და მის სახეზედ გამობრწყინდა სიხარული—რომ მან ამისთანა საქრმო იშოვნა.

მართლაცა და ყოველ ღამე მოდიოდა ეს ემაწვილი, აღებდა ფანჯარას დაფარულათ, გათენებამდის ისხდნენ ერთათ, ლაპარაკობდნენ ურთიერთ სიყვარულზედ, ბედნიერებაზე, ბრწყინვალე მომავალზედ და ასე ტკბებოდნენ და ლხინობდნენ. ეს შეუნიშნავათ არ დარჩათ უფროს დებს.



— ეს რა ამბავია, ამბობდნენ ესენი, — ჩვენი დის ოთახიდან სულ მუდამ ღამეს ლაპარაკი გამოდის, უქვეყელია მაგასთან ვიდაც დადის დაფარულათ, უღარაჯოთ და მაგისი კარგი ქალობა გამოვამზეოთო. სთქვეს ეს და დაიწყეს დარაჯობა... დაღამდა თუ არა, დანიშნულ დროს გაიღო ფანჯარა, შევიდა ბრწყინვალე სახის ყმაწვილი, მივიდა ქალთან და დაუწყო ჩვეულებრივად ალერსი. ყველა ეს შენიშნეს უფროსმა დებმა. ამ მშვენიერი ყმაწვილის დანახვით გულში შური ჩაეჭრათ და გადასწყვიტეს როგორმე მოეშორებინათ იგი უმცროსი დისათვის.

— ახლა კი მივხვდით რათ იყო ჩვენი და აგრე გაბუნჩვილი და ჩვენგან განშორებული; თურმე ამას მეფის შვილი შეჰყვარებია და ჩვენ კი რა ვიცოდითო; ახლა კი დაუდგამას თვალები, ვნახოთ, როგორ შეირჩენს ამ მშვენიერს ვაჟკაცსაო“. თქვეს ეს და იმ დღესვე მოიტანეს აღმასივით გაღლესილი, მოწამლული რკინა და დაურტყეს ოთახის შესასვლელ ფანჯარაში. როცა დაღამდა, ის ყმაწვილი მოვიდა დანიშნულ დროზე ქალთან... როგორც შეაღო ფანჯარა და უნდა შესულიყო, ერთი სანუშინლათ შეჰყვირა და სისხლით შეღება იატაკი.

— მე ამ ქვეყანათ აღარ დამედგომება, მე ზეცის ფერია ვარ, სახელათ „უნახავი ყვაილი“ მქვიან... მე ველარა მნახამ იმ დროდის, ვინემ არ იშოვნე ამ ყვაილს; როცა იშოვნე, მომძებნე და მიპოვნეო.

ყველა ამის მნახველი ქალი დაავადმყოფდა და ლოგინათ ჩავარდა... როცა ცოტათი გამოკეთდა, დაიწყო ამ ყვაილის ძებნა ყველგან, მაგრამ მისი მნახველიც კი არავინ გამოჩნდა.

ერთხელ მისი მამა სხვა ქვეყანას წავიდა სავაჭროთ... წასვლისას ყველა ქალს ცალ-ცალკე შეჰკითხა: — დამაბარეთ რაც სულითა და გულით გინდოდეთ და მე უქვეყლათ შეგისრულებთ ნატვრასაო“. უფროსმა ქალმა ძვირფასი თვლებით მოჰქედილი ბაჯალლო ოქროს ბეჭედი დააბარა. შუათანამ კიდევ ამ ბეჭედზედ უკეთესი ნივთი, უმცროსმა კიდევ „უნახავი ყვაილი“ თუ შეგხვდეს ის მომიტანეო..

წავიდა ვაჭარი, შემოიარა მთელი ქვეყანა, ივაჭრა ბლოგათ და, როცა დაბრუნდა, უფროს ქალებს მოუტანა ყველა-

ფერი. რაც დააბარეს. უმცროსს კი უთხრა:—შვილო! შევე-
ჯერე მთელი ქვეყანა და შენი დანაბარი ყვაველი არამც თუ
გასასყიდი ვერ ვიშოვნე, სახელიც კი არ გაუგონიათ მაგის-
თანა ყვაველისაო. უფროსმა დებმა ძალიან გაიხარეს საჩუქ-
რების მოტანით და მხიარულათა და დაცინვით მოშორდნენ
უმცროსს დას.

უმცროსი ქალი უფრო დაღონდა, მისი მშვენიერი სახე
ქმუნვით მოიცვა. ჩავარდა ფიქრსა და საგონებელში. ბოლოს
ამ გადაწყვეტილებას დაადგა:—„ჩავიცივამ რკინის ქალამნებს,
დავიჭერ რკინის ჯოხს, მინამდის ვივლი, სანამდის ეს ქალამ-
ნები არ გამიცვდება და ჯოხი არ დაიღვევაო და იმ ყვაველს
უეჭველათ ვიშოვნი სადმეო“. სთქვა ეს, გამოეწყო კაცის
ტანისამოსში, ჩაიცო რკინის ქალამნები, დაიჭირა ხელში
რკინის ჯოხი და გაუდგა გზას.

იარა, ბევრი იარა, გასცილდა ადამიანის სამყოფს, მიად-
გა ერთს უდაბურ ტყეს და აქვე ახლოს შეამჩნია პატარა ბი-
ლიკი. დაადგა ამ ბილიკსა; ბილიკმა აღმართისაკენ გაიწია;
დაადგა ამ აღმართს და წავიდა სულ მალლა-მალლა; მიდის
ქალი უშიშრათ, გულადათ, ამას დაღალვა არ ეკიდება გლე-
ხი კაცივით, და სულ ამას გაიძახის:—„ვინემ ამ მთებს არ გა-
დავივლი, მე ამ გზას არ მოვშორდებო“. იარა კიდევ, იარა
და ავიდა მთის წვეროზე. აქ შენიშნა ქალმა ორი დიდი
მშვენიერი და ალისფრათ განათებული კაშკაი. წავიდა ამ
კაშკაისაკენ, შეაღო ვალაფნის კარები, შევიდა და ნახა უფ-
რო მშვენიერი სანახაობა: საუცხოვო სასახლე და მის გარე-
შე ნაირ-ნაირ მკენარეებით და ყვაველებით შემკობილი ბა-
ღი. მალე კიბესაც მიადგა და ავიდა სულ ზევით სართულში,
შევიდა მდიდრულათ მოწყობილ ოთახებში, მიათვალ-მოათ-
ვალეირა და შენიშნა, რომ არც ოთახებში და არც ბაღში
ადამიანის ჭაჭანება არ არის. წამოწვა რბილ საწოლზედ და
დაღალულ-დაქანცულს მალე ძილი მოერია და ტკბილათ
დაეძინა. როცა გამოეღვიძა, იმავე ოთახში დახვდა პირისბა-
ნი, საცვლები, გაშლილი სუფრა მშვენიერი საქმელებით.
ქალმა პირი დაიბანა, მორცხვით ტანისამოსი გამოიცვალა,
შექექვა საუზმეს და შემდეგ ისევ ისევ დაიძინა... როცა გამოი-



ღვიძა, ოთახში ისევ ის სამზადისი დახვდა. . რამდენიმე დღე ქალი აქ დარჩა; მერე იფიქრა:—არ შეიძლება, რომ ამ მშვენიერ სასახლეს პატრონი არა ჰყავდესო, მოდი მოვძებნი, გადაუხდი მადლობას და გაუდგები გზასაო. დიწყო მისვლამოსვლა, სასახლის თვალიერება, მაგრამ ძე ადამიანი არსად შეჭხვედრია. ბევრი სიარულის შემდეგ მიაღწა ერთს ჩაკეტილ ოთახს; შეაღო, როგორც იყო კარი, და მის თვალ წინ გაიშალა უშველებელი დარბაზი; დარბაზის შუა უშველებელი ხე დგას, მისი წვერი ჭერს მიბჯენია, აქედან ხეს გადმოხტია ტოტები, მოსხმული აფერადებული ყვავილებით; ამ ყვავილებს დაუყენებია, როგორც ოთახებში, ისე მთელ სასახლეში, სასუფეველის სუნი.

— სწორეთ ეს ის ყვავილია, რომელსაც მე დავეძებ, იფიქრა ქალმა და გადატეხა ერთი ტოტი... ხემ დაიგრიალა. ყვავილები სულ-ერთიანათ ჩამოსცივდა და ჩამოცივებული ფოთლებითა და ყვავილებით მოიფინა ოთახი. ამ ამბავმა ქალს თავ-ზარი დასცა... გაჩერდა ერთს ადგილას... აკანკალდა. ამავე დროს მოესმა რიხიანი ხმა:

— უმადლო! განა აქამდის იმისთვის გინახავდი ამგვარი პატივით, რომ ჩემს საყვარელს ყვავილს ასე გამიფუჭებდი! აიხედა ქალმა მალლა და ჭერში დაინახა ერთი შესაშინებელი დაღრეჯილი დედაბრის სახე. შესწივლა ერთი და გულ-შემოყრილი დაეცა იატაკზედ. დედაბერს შეეცოდა იგი, ჩამოვიდა ძირს და დაუწყო ტკბილათ ლაპარაკი:—„ნუ შეშინდები შვილო, ჩემო კეთილო ანგელოზო, არაფერს არ გიზავ, აღარ გაგიჯავრდები, ოღონდაც შენ კარგათ იყავი, თორემ მე კიდევ გავიკეთებ მიგისთანა ყვავილს“. ამ სიტყვებით გამხნეებული ქალი გონს მოვიდა, თვალი გაახილა და, როდესაც შეჭხვდა იგივე დედაბერს. ისევ ისე დაეცა გულ-წასული ძირს.

— მეტს აღარ შეგაწუხებ, შვილო, ჩემთან ყოფნით, წაღი ისევ შენს სახლში... ჩემი მანქანების ძალით ხვალვე დილაზე შენს სახლში იქნები.. თუმცა მე უშენოთ ველარ გავძლებ, მაგრამ რა გაეწყობა... თუ შენმა გულმა კიდევ მოისურვოს ჩემი ნახვა, დაეშურე წამოსვლას, თორემ მე ცოცხალი აღარ დავიხვდები.

მეორე დღეს, როდესაც ქალმა გამოიღვიძა, იგი უკვე



თავის ოთახში იყო... მამას ძალიან გაეხარდა დაკარგულ შვილის ნახვა და ღმერთს მადლი შესწირა. დებმა კი გულსაკლავი დაცინვა დაუწყეს:—ეთრია, იწანწალა, მოეთრია ისევ უყვავილოთაო... რომ არსად არის იგი ყვავილი, ამა სად ნახავდომ.

ქალმა ყურადღებაც არ მიაქცია დაცინვას... იგი ფიქრობდა თავის გულ-კეთილ დედაბერზედ, იმის გაწყობილ ციხე-დარბაზზედ, განმარტოებულ ცხოვრებაზე. — მე ჩემს ბოროტ დებთან ველარ ვიცხოვრებ, მე იქ უფრო თავისუფლათ ვქნებო.

იგი ერთს ღამეს გაიპარა... ერთი წლის სავალი გზა ერთს თვეს გაიარა... რის ვაი-ვაგლახით მივიდა ნაცნობ ალიგას, შეიქრა გახარებულ ოთახში და ნახა სულთამობრძავი დედაბერი, მივიდა მის წინ, დაემხო და გამწარებული მოსთქვამდა: — ჩემო ძვირფასო, კეთილო ანგელოზო! მე უშენოთ ველარ ვავძელი, გამეცი ხმა, მანუგეშე, უშენობით სულს ნუ ამომხდი! ქალის სიტყვებზედ დედაბერმა ძალა მოიკრიფა და მიეყრდნო კედელს... იტანჯება, მწარეთ იღრიჯება, ნელ-ნელა სკდება ტანზედ, ცვივდება შავი ქერქი... ქალი ხან შიშით, ხან მწუხარებით შეჰყვირებს... ერთბაშათ დედაბერი გადიყრის ტყავს და იქიდან გამოვარდება მშვენიერი ფერია. გადაეხვევა ამდენი ხნის უნახავს საცოლოს და უამბობს: „როდესაც შენმა დებმა დამიგეს სასიკვდილო მახე, ველარ დაედექი ბოროტ ადამიანების სამყოფში, გავიკეთე ეს ციხე-დარბაზი და შიგ ჩავდგი ის ყვავილი. ვიცოდი, რომ იმ ყვავილის ძებნაში მიპოვნიდი... ვიცხოვროთ აქ თავისუფლათ, მყუდროთ... ბოროტი ადამიანები ვერ მოგვწვდებიან და სიხარულის დღეებს ვერ გავგიმწარებენო. ამბობენ, რომ დღესაც იგინი მყუდროთა და თავისუფლათა ცხოვრობენო.

ასე დაასრულა ჩვენმა სოლომონმა თავისი ძველი ამბავი და ძალიან გაეხარდა, როდესაც შეგვატყო, რომ მისი ნაამბობი ყველას მოგვეწონა... სიხარულის ნიშნათ მომართა თავისი ჩიბუხი და მადიანათ დაიწყო წევა.

ალექ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

დავით კოპერფილდი.

ჩანჯაზ-დიკენსის მოთხრობა.

(შუშდეკა)



მან ყურადღება არ მიაქცია ჩემ ვედრებას და მაგრა-
თავი დამიჭირა. მე ვტრიალებდი, მინდოდა როგორ-
მე გამოვსხლტოდი, მაგრამ ამაოდ. მან წკეპლა სა-
შინლათ დამკრა. ამ დროს მომხვდა ბატ. მორდსტონ-
ნის ხელი, რომელიც პირზე მქონდა მოფარებული, რომ მე
არ დამეყვირა. მეც მივწვდი და ვუკბინე. ახლა, როდესაც-
კი მომაგონდება სიბრაზისაგან კბილებს ვაკრაჭუნებ.

მე აღარაფერი დამიხსნიდა. დამიწყა უმოწყალოთ ცემა,
თითქო ბატონ მორდსტონს უნდოდა მოგეკალი, ამ ხმაურობაზე
მესმოდა კიბეზე ვილასიც ფეხის ხმა და წივილ-კივილი. მე
გავარჩიე დედაჩემის და პეგოტის ხმა. მორდსტონმა გაათავა
თავისი საქმე. გავიდა და კარები გაიკეტა. მე-კი იატაკზე ვე-
გდე დამტვრეული, ნაცემი და გახურებული, თითქო ცეცხლ-
ში ისე ვიწვოდი.

ტანი საშინლათ მეწვოდა და ყოველ განძრევაზე ისევ
ვიწყებდი ტირილს. ჩემ ოთახამდე ხმაურობა არ აღწევდა,
თითქოს ყველანი ამოიხოცენო. საღამოს, როცა დაბნელდა,
კარები გაიღო, ჩემთან შემოვიდა ქ-ნი მორდსტონი და დამიდგა
საქმელი, ასე ვიყავ მარტოკა ჩამწყვდეული ხუთი დღე. არავის
არა ვხედავდი გარდა ჩემი მტანჯველ დარაჯისა, რომელიც
საქმელს მაწოდებდა. უკანასკნელ ღამეს შემომესმა ვილასის
ძახილი. მე წამოვარდი საწოლიდან, გავიშვირე ხელები ბნე-
ლაში და ვიკითხე:

— პეგოტი შენა ხარ?

არავინ მიპასუხა, მაგრამ ჩემი სახელი კიდევ გავიგონე-
მივარდი კარებს, მივადე ტუჩები კლიტეს და წავიჩურჩულე:

— შენა ხარ, ჩემო საყვარელო პეგოტი?

— მე ვარ, ჩემო ანგელოზო, ჩემო ძვირფასო დევი, მი-
პასუხა პეგოტიმ, — მხოლოდ ჩუმათ ილაპარაკე, ჩუმათ, რო-
გორც თავუნა, თორემ კატა გაგვიგონებს.



მივხვდი, რომ ეს შეეხებოდა ქ-ნ მორდსტონს და კარგბ-
თაც მესმოდა ჩვენი საშიში მდგომარეობა, რადგან ვიცოდი,
რომ მისი ოთახი ჩემი ოთახის გვერდით იყო.

— დედა რას აკეთებს, ჩემო პეგოტი? ალბად ძალიან
გაჯავრებულია ჩემზედ.

პეგოტის ტარილს მოვკარი ყური.

— არა, ცოტათი, — მითხრა პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— რას მიპირობენ?

— ხვალ ლონდონს წაგიყვანენ სასწავლებელში.

— დედასაც აღარ ვნახავ?

— ხვალ დილით ნახავ.

ახლა-კი პეგოტიმ მიაღო ტუჩები კარების ჭუჭრუტანას
და დაიწყო გრძნობით და ცხარეთ ლაპარაკი, თან კი ქვითი-
ნებდა:

— დევი... ჩემო კარგო... მე მიყვარხარ, ჩემო საუნჯევ,
ჩემო თვალის ჩინო, გესმის ჩემი ლაპარაკი.

— მეს...მის... პეგოტი! ვუბასუხე მეც ქვითინით.

— ჩემო სულიკო, განაგრძო პეგოტიმ — არ დამივიწყო,
ჩემს დღეში არც მე დაგივიწყებ. დედა შენსაც ისე მოუვლი,
როგორც შენ გივლიდი და თავის დღეში თავს არ დავანებებ.
იქნება ისეთი დრო დაგიდგეს, რომ ისევ მე დავჭირდე და
შონახოს თავისი სულელი, კერპი, პეგოტი. მე წერილებს მო-
გწერ ხოლმე, ჩემო მტრედიკო.

აქ-კი პეგოტიმ ტუჩები მიაღო კლიტეს, თითქოს საკოც-
ნელათო.

— გმადლობ, ჩემო კარგო, კეთილო პეგოტი, ვუთხარი —
გმადლობ, გმადლობ. პირობა მომეცი, რომ წერილს მისწერ
ბ-ნ პეგოტის და ეტყვი იმას, ქამს და ემილიას, რომ მე ისე
ბოროტი არა ვარ, და ისინი ყველანი ძალიან მიყვარან.

კეთილმა პეგოტიმ პირობა მომცა და ჩვენ ორთავემ კა-
რების კლიტეს ვაკოცეთ. ამ დღიდან წინანდელზედ უფრო
მეტათ შევიყვარე პეგოტი.

მეორე დილას ჩვეულებრივ შემობრძანდა ქ-ნი მორდსტონ-
ნი და მითხრა, რომ მე სასწავლებელში მიმბარეს და, როდე-
საც ტანთ ჩავიცვამ შემიძლია ქვეით საუზმეზე ჩავიდე.

მეც მაშინვე ჩავედი ძირს და იქ დავინახე დედა ფერ-



მკრთალი, ნამტირალი თვალებით, ჩავეხუტე მას და ვევედრე-
ბოდი პატიებას.

— ახ დევი, დევი! მითხრა მან—რათ გააჯავრე შენ ის, ვინც მე მიყვარს. ეცადე გასწორდე, ჩემო კარგო, მე მიპატიე-ბიხარ, დევი, გული მტკივა რომ მაგისთანა ცუდი ზნე გჭირს..

დედა ჩემი დაარწმუნეს, რომ მე საძაგელი ვიყავი და დე-დაჩემს ეს უფრო აწუხებდა, ვიდრე ჩემი განშორება. მე თავს ცუდათ ვგრძნობდი, დღეს უკანასკნელათ ვსაუზობოდი სახლ-ში, ცრემლები პურს ასველებდენ. ვხედავდი, რომ დედა ხან მე მიყურებდა, ხან კიდევ ქ-ნ მორდსტონს და შემდეგ თვალებს ძირს დაუშვებდა, ან კიდევ პირს იბრუნებდა.

აგერ ალაყაფის კარს ეტლი მოადგა და ჩემი ბარგიც გაიტანეს.

— კლარა, სასტიკათ უთხრა ქ-ნმა მორდსტონმა.

— კარგი, ჩემო ჯენნი, უპასუხა დედამ—აბა გზა-მშვიდო-ბისა, დევი, შენ იქ ყოფნა სარგებლობას მოგიტანს. მშვიდო-ბით, ჩემო ბიჭუკავ:—შენ იქ დაქვეიანდები და დღესასწაუ-ლებზედ კი ჩამოგიყვანთ.

— კლარა, გაიმეორა ქ-ნმა მორდსტონმა.

— მესმის, პატივცემულო ჯენნი, უპასუხა დედამ და ხე-ლები ძალით მომიჭირა—მიპატიებია ყველაფერა შენთვის ჩე-მო ბიჭიკო, ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა...

— კლარა—გაიმეორა ისევ ქ-ნმა მორდსტონმა.

მე ჩავჯექი ეტლში და ზარმაცი ჯაგლაგი ცხენი დაიძრა.

III.

სახლიდან გამავდეს.

პატარა რო გავიარეთ ეტლი უცბათ შედგა. მე მივიხედე, რომ გამეგო რაში იყო საქმე და დავინახე, რომ პეგოტი ჩვენსკენ მორბოდა. ხმა ამოუღებლივ გამიტენა ჯიბეები ხა-ქაპურებით, მომეხვია, ხელში ქისა ჩამიღო და გაიქცა. ქისა-ში ფული აღმოჩნდა ორი ნახევარ კრონი (კრონი—1 მ. 45 კ.) ქალაღში გახვეული. ქალაღზე დედაჩემის ხელით იყო და-წერილი: „ჩემს დევის სიყვარულის ნიშნათ“. ამან ისე იმო-ქმედა ჩემზე, რომ ტირილი დავიწყე.

გზაში დამეძინა და მარტო იარმუტის სასტუმროს ეზოში გამომეღვიძა.

სასტუმროს პატრონმა ჩემი ვინაობა რომ გაიგო დაუძახა მოსამსახურეს და უბრძანა წავეყვანე სასტუმრო ოთახში და სადილი მოერთვა ჩემთვის. მოსამსახურემ დამსვა მაგიდასთან და მხიარულათ მიიხრა: — აბა, დიღო ბატონო, შეექცეო:

მე ვმორცხობდი, მეტადრე იმიტომ, რომ ის გაშტერებით შემამცქეროდა და ქამას ვერ ვახერხებდი. იმან ისარგებლა ამით და სულ ერთიანათ გადაყლაპა ჩემი სადილი, ისე რომ მე ნახევრათ მშვიერი წამოვდექი. სადილთ უკან მან მკითხა გზა საითა მაქვს და, როცა გაიგო, რომ ლონდონის ახლო სასწავლებელში უნდა დავბინავდე მან მწუხარებით წამოიძახა:

— ოჰ ღმერთო ჩემო! ეგ ის სასწავლებელია, სადაც ერთ ცმაწვილს ნეკნები ჩაუმტვრიეს... ორი ნეკნი.

მეეტლის საყვირის ხმამ ჩვენი საუბარი შეწყვიტა. იარმუტიდან სამ საათზე გამოვედი და მეორე დილას ლონდონს ვიყავი. ლონდონის სადგურზე კანტორაში ჩამომსვეს, იქ დიდხანს ველოდებოდი ვისმეს ჩემ წასაყვანათ. მართლაც კანტორაში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც სალემ-გაუზის სკოლის მასწავლებლათ გამეცნო. როცა ჩვენ გამოვედით ვუთხარი, რომ ძალიან დავიღალე და ძალზედაც მშინ. ჩვენ ლორის და პურის საყიდლათ შევედით და მასწავლებელმა მითხრა, რომ გზაზე ერთ დედაბერთან უნდა შეიაროს, სადაც კიდევ რძეს დამალევენებენ. ჩვენ რაღაც ხიდი გავიარეთ და ბოლოს იმ სახლში მივედით, სადაც მოხუცი დედაკაცი სცხოვრობდა. ეს იყო ღარიბ-მოხუც ქალებთა თავშესაფარი.

სალემ-გაუზის მასწავლებელმა პატარა შავი კარები შეაღო და ოთახში შემიყვანა. იქ დედაბერი ცეცხლს აღვივებდა და მასწავლებელი რომ დაინახა წამოიძახა:

— ახ, კარლუშა!

— თუ ღმერთი გწამთ, ამ ყმაწვილს საუზმე მოუმზადეთ. უთხრა მასწავლებელმა.

დიდის მადით შევექცევი პურს, კვერცხებს, ლორს და რძეს.

— შენი სალამური თანა გაქვს? ჰკითხა მოხუცმა მასწავლებელს.



— თანა მაქვს. უბასუხა იმან.

— ღვთის გულისთვის, დაუკარ რამე.

მასწავლებელმა ჯიბიდან სალამური ამოიღო და ისეთ საშინელ ხმებზე დაიწყო დაკვრა, რომ ამაზე უარესი მე არა გამეგონა-რა. ამ ქყვიტინზე მე მაგრა ჩამეძინა.

როცა ჩვენ ეტლში ჩავსხედით სალემ-გაუზში წასასვლელათ მე ისევ დამეძინა და სასწავლებელს რო მიუახლოვდით მხოლოთ მაშინ გამომეღვიძა.

სალემ-გაუზს მაღალი აგურის კედელი ჰქონდა შემოვლებული, მეკარეთ დაგვიხვდა კაცო, რომელსაც ცალი ფეხი ხისა ჰქონდა, ყბების ძვლები გამოვარდნილი და მოკლეთ შეკრეპილი თმები.

— აი ახალი შეგირდი, უთხრა მასწავლებელმა.

ხის ფეხიანმა კაცმა ამათვალ-ჩამათვალიერა და ჩვენ გზა განვაგრძეთ.

— მისტერ მელ, დაიძახა უცბათ მეკარემ.

ჩვენ მივიხედეთ. მეკარე თავის სადგომის კარებში იდგა და ხელში წყვილი წალა ეჭირა.

— აი, მისტერ მელ, როცა თქვენ აქ არ იყავით ეს წაღები მეწალემ მოიტანა და სთქვა, რომ ვერ დააკერებს მათ. ის ამბობს, რომ ამ წაღების დაკრება შეუძლებელია და უკვირს კიდევ, როგორ დაავალეთ მას ამისი დაკრება.

ეს თქვა თუ არა და მასწავლებელს წაღები გადაუგდომან აიღო წაღები და გზა და გზა მწუხარებით დასცქეროდა მათ. მე შევამჩნიე, რომ ის წაღები, რომლებიც ზედ ეცვა, ასეთივე გაცვეთილი და უვარგისი იყო.

სალემ-გაუზის აგურის შენობა პირქუშათ გამოიყურებოდა. გარშემო ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა, რომ მისტერ მელს ვკითხე, სად არიან შეგირდები. მასწავლებელს ჩემი კითხვა, როგორც შევამჩნიე გაუკვირდა. განა არ უნდა მცოდნოდა, რომ ეხლა შეგირდები ყველა დათხოვნილები არიან და თვით სასწავლებლის დირექტორი, მისტერ კრიკლიც-კი, წასული იყო.

სასწავლო ოთახი, რომელშიაც შემიყვანა მისტერ მელმა ყველაზე გავერანებულ ოთახათ მეჩვენა მთელ დედა-მიწის ზურგ-



ზე. ოთახში ნესტის, ობის, დამბალ ვაშლის და კიებისგან დაღრღნილ წიგნის სუნი ტრიალებდა.

როცა მისტერ მელმა მარტო დამტოვა, ოთახის მეორე ბოლოს წავედი და იქ კუთხეში მაგიდაზე დავინახე დიდი სქელი ქალაღის ნაჭერი, რომელზედაც ეწერა შემდეგი სიტყვები: „უფროთხილდით, ეს იკბინება“.

მეგონა ოთახში ალბათ დიდი ძაღლია მეთქი და სწრაფათ ავგარდი მაგიდაზე; ამ დროს შემოვიდა მისტერ მელი და მკითხა რათ ავძვერი მაგიდაზე. მე ვუპასუხე, რომ ძაღლისა მეშინია, რომელსაც უნდა უფროთხილდეს კაცი და, რომელიც იკბინება მეთქი.

— არა, კოპერფილდ, უხუმრათ მითხრა მან, ეგ ძაღლზე კი არ არის დაწერილი, ყმაწვილზეა. მე დამავალიეს, კოპერფილდ, ეგ დაწერილი ზურგზე შენ ჩამოგაკიდო. დიდათა ვწუხვარ, რომ ახლავე ეგრე უნდა მოგექცე, მაგრამ ბრძანებას ვერ გადაუვალ.

ამ სიტყვების შემდეგ მაგიდიდან ჩამომსვა და ქალაღი, როგორც ჩანთა ზურგზე დამკიდა. მას აქეთ საცა უნდა წავსულიყავი ქალაღის მუდამ თან ვატარებდი.

ძნელი წარმოსადგენია რამდენი უსიამოვნება მომაყენა ამ ქალაღმა. მეგონა მთელი ქვეყანა კითხულობდა ჩემ ზურგზე. რომ მე ვიკბინები. მეკარეს ნაბრძანები ჰქონდა თვალყური ედევნებინა ჩემთვის და ყოველთვის, როცა-კი სეირნობის დროს ხეს ან კედელს მივეყუდებოდი, მჭექარე ხმით დამიღრიალებდა: „ეი, კოპერფილდ, ისე დადექით, რომ ბარათი ჩანდეს და წაკითხვა შეიძლებოდეს, თორემ დაგაბეზლებ“.

სათამაშოთ დიდ ეზოში მიშვებდენ, რომლის ძველი კარები შეგირდების გვარებით იყო აჭრელებული. სასწავლებელში, როგორც გავიგე, ორმოცდა ხუთი მოსწავლე იყო. ყოველ დღე მისტერ მელთან ვმეცადინებოდი და კარგათაც ვსწავლობდი. პირველ საათზე ორივენი დიდ ცარიელ ოთახში ესადილობდით. რამდენიმე საათის შემდეგ ჩაისა ვსვამდით. დაძინების წინ მისტერ მელი სალამურზე უკრავდა და მე თავჩაქინდრული ვუგდებდი ყურს მის გულდამწყვეტ დაკვრას. მისტერ მელი ცოტას მელაპარაკებოდა, მაგრამ თავის დღეში უკმეხათ არ მომქცევია.



ესე ვცხოვრობდით მთელ თავს; ბოლოს მოაწია იმ სა-
შინელომ დღემაც, როცა მოსწავლენი უნდა შეკრებილიყვენ
და ამ საზიზღარი ქალღლით ზურგზე დავენახე.

სალამოზე მისტერ კრიკლიც დაბრუნდა და დამიბარა.
მეკარის თანახმობით, თრთოლვით მივდიოდი მასთან. როცა
მისტერ-კრიკლს წავუდექი ისე დავიბენი, რომ ოთახში ღირე-
ქტორის ცოლი და მისი ქალი ვერც-კე შევამჩნიე.

მე ვხედავდი მხოლოდ მისტერ კრიკლს და მის საათის
ძეწევს. ის სავარძელში იჯდა და წინ ბოთლი და ჭიქა უდგა.

— ა, წარმოსთქვა მისტერ კრიკლმა—მაშ ევა ყოფილა
ის ახალგაზრდა ვაჟბატონი, რომელსაც კბილები უნდა მო-
ვახერხოთ. აბა მიაბრუნე ერთი.

ცალფეხა მეკარემ ისე მიმაბრუნა, რომ ზურგზედ მიკრუ-
ლი ბართი უნდა ნათლათ გამოჩენილიყო. რ.მდენიმე ხანი ასე
ვყავდი, მერე ისევ პირით ღირექტორისკენ მიმაბრუნა და თითონ
ისევ მისტერ კრიკლს ამოუდგა გვერდში, მისტერ კრიკლს პი-
რისახე წითელი ჰქონდა პატარა თვალებით და პატარა ცხვი-
რით, მელოტ თავზე რამდენიმე ქალარა ბუწვი-ლა შერჩენოდა.

ის ისე არ ლაპარაკობდა, როგორც ყველანი, სიტყვების
მაგივრათ რალაც ხიხინი ისმოდა, ამის გამო პირქუში სახე
უფრო სასტიკათ გამოიყურებოდა და შუბლზე ძარღვები ებე-
რებოდა.

— მითხარი ერთი, როგორ იქცევა ყმაწვილი?

— ცუდი ჯერ არაფერი შემიმჩნევია, უპასუხა ცალ-ფეხა
მეკარემ.

— აქ მოდი, მიხარა მისტერ კრიკლმა და თითი დამი
ქნია.

— აქ მოდი, გაიმეორა ცალ-ფეხა მეკარემ და აგრეთვე
თითი დამიქნია.

— ჩემ თავს დიდ ბედნიერათ ვთვლი, რომ შენ მამინაცვალს
ვიცნობ, წამოიხრანტალა მისტერ კრიკლმა—ძალიან კარგი კა-
ცია და მკაცრი ხასიათისაც არი. ის მე მიცნობს კარგათ და
მეც მას ვიცნობ. შენ-კი მიცნობ ვინა ვარ? ჰა? მკითხა მისტერ-
კრიკლმა, ყურში ხელი წამაფლო და ძალზე ამიწია.

— ჯერ არა, ვუპასუხე და თან ვცდილობდი განთავი-
სუფლებულიყავი.

— ჰა? ჯერ არა? გაიმეორა მისტერ კრიკლმა — მას მალე გამიცნობ, ჰო, ძმაო, მალე, მალე.



— მალე გამიცნობ, ჰო, მალე, მალე—გაიმეორა ცალფეხამ.

შემდეგში გავიგე, რომ შეკარე, როგორც ბოხი ხმის პატრონი მისტერ კრიკლს თარჯიმანათ უღდა ხოლმე შევირდებთან ლაპარაკის დროს.

შიშისაგან ვცახცახებდი და უთხარი, რომ იმედი მაქვს გავიცნობ, თუ ნებას მომცემს. ყური, როგორც ცეცხლი ისე მეწოდა.

— გიჩვენებ ვინცა ვარ! წამოიხრანტალა მისტერ კრიკლმა და ჩემი ყური დროებით მიატოვა, მაგრამ მერე ისევ მწვდა ყურში და ისე მაგრა ამიწია, რომ მე უნებლიეთ ავტირდი — მე, მე... თათარი ვარ.

— თათარი! გაიმეორა ცალფეხამ.

თუმცა მეშინოდა, მაგრამ მაინც გავბედე და ვთხოვე დირექტორს, ჩამოეხსნათ ჩემთვის სასირცხო ქაღალდი, მანამ მოსწავლენი არ დაბრუნებულან.

მისტერ კრიკლი ისეთი სისწრაფით წამოვარდა სავარძელიდან და ჩემსკენ გამოეკანა, რომ მე შიშისაგან ენა მუცელ-



ში ჩამივარდა; საწოლ ოთახისაკენ მოვკურცხლე, ლოგინში ჩავწექი და ორი საათის განმავლობაში სულ ვცახცახებდი.

მეორე დილას უფროსი მასწავლებელი შარპი დაბრუნდა. მოწაფეებში პირველი ტრადლსი ჩამოვიდა. მას ძალიან არ-
თობდა ჩემი ქალაღი, ყველას აცნობდა ჩემს თავს და თან
ეუბნებოდა:

— ერთი უყურეთ რასა ჰგავს!

მე ჯერ მიღებულათ არა მთელიდენ მანამ სტირფორტი არ ჩამოვიდა. ამ მოწაფეს ისე წარმადგინეს, როგორც ვინმე სახელმწიფოს წარჩინებულ პირს. ჩემ სასჯელზე დაწვრილებით გამომკითხა და მითხრა, რომ ეს სწორეთ სასაცილო სასჯელი არისო.

— ფული რამდენი გაქვს, კოპერფილდ? მკითხა მან.

მე ვუთხარი, რომ შვიდი შილლინგი*) მაქვს.

— შენ ძალიან კარგს იზამდი ჩემთვის, რომ მოგებარებინა.

მე საჩქაროთ შევასრულე მისი სურვილი: გავხსენი პეგ-
გოტის ქისა და ხელის გულზე გადმოუყარე ფული.

— არ გინდა, ერთი, ორი შილლინგი სასმელზე დახარჯო და იქ ზევით, საწოლ ოთახში დავლიოთ—მკითხა სტირფორტ-
მა—ჩვენ მგონი ერთი ოთახში გვიძინავს.

მე თუმცა ქეიფზე არ ვიყავი, მაგრამ მაინც უთხარი:

— დიახ, ურიგო არ იქნებოდა.

— მაშ იქნება ერთი შილლინგი კიდევ ნუშის ქადაზე დახარჯო?

მე ვუთხარი, რომ არც ეგ იქნებოდა ურიგო.

— იქნება კიდევ ერთი შილლინგიც გამოიმეტო სხვა ტკბილეულობისთვის, ჰა? მკითხა სტირფორტმა—მე მგონია, კოპერფილდ, შენი ფული ყველა ამას ეყოფა.

ამასთან სტირფორტმა გამიღიმა და მეც გაუღიმე.

— მე ნება ნაქვს ხოლმე აქედან გასვლისა და ყველაფერს ვიყიდი.

საღამოს მთვარის შუქზე მან გაშალა ჩემ საწოლზე თავის ნაყიდები და მითხრა:

— ხედავ, პატარა კოპერფილდ, რა საუცხოვო სადილი გვაქვს.

*) შილლინგი—32 კახ.

ჩვენ ყველანი იატაკზე და საწოლებზე ვისხედით და სტირ-ფორტი დიასახლისობდა. ხანდახან ის წუმწუმას ჩააწობდა ფოსფორის შუშაში და მოცისფრო სინათლით ერთ წანს გავანათებდა.

არ ვიცი ჩვენი ჩუმი ჩურჩულის თუ სიბნელის მიზეზით რალაც უსიაპოვნო გრძნობამ ამიტანა. მეტადრე მაშინ გავხდი ცუდათ, როცა ტრადლსმა სთქვა კუთხეში მოჩვენებას ვხედავო.

დაწვრილებით გავიგე მათგან სასწავლებლის ამბები. გავიგე, რომ დირექტორი ტყუილათ არ ეძახდა თავის თავს თათარს, რომ მაგაზე მკაცრი ადამიანი ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა და ყველა მოწაფეზე სულელი იყო, რადგან ჩუბის მეტი არა იცოდა-რა. წინათ უხეირო ცეკვის მასწავლებელი ყოფილა და მერე მიუღია ცოლის საშუალებით ეს ადგილი და გამხდარა პედაგოგი. აქვე გავიგე, რომ მისტერ მელი ძალიან მცირე ჯამაგირს იღებს და დედა ძალიან ღარიბი ჰყავს. მაშინ გამახსენდა ჩემი საუზმე მასთან, მაგრამ არა ვსთქვი-რა. ბოლოს ჩვენ დავწყექით და სიზმარში—ჩემ მფარველ სტირ-ფორტის ლამაზ სახეს ვხედავდი.

(თარგმანი)

ე. კარბელაშვილი.





სირ-ბუზი და სირ-აქლემი.



ფრინველი უთუოდ ბევრი გინახავთ, მაგრამ იმისთანა ფრინველები, რომლებზედაც ახლა მინდა გიანბოთ, ვიცი, ნახული არ გეყოლებათ. სახელებიც რომ საოცარი აქვსთ ამ ფრინველებს: „სირბუზი“ და „სირაქლემი“. სირი ჰნიშნავს ჩიტს, ფრინველს. ერთი ამ ფრინველთაგანი იმსიდიდეთა სწორედ, როგორც ბუზანკალი, და მიტომ ვეძახი მას სირბუზს, მეორეკი დიდია, მაღალი და კისერ გრძელი, როგორც აქლემი. ერთის სიტყვით, პირველია ბუზი ფრინველებს შორის, ხოლო მეორე—აქლემი. ორივე ეს ფრინველი ცხელი ქვეყნების შვილნი არიან.

უცხო ენით სირბუზსა ჰქვიათ „კოლიბრი“. ნისკარტი აქვს წვრილი და გრძელი; რა სიგრძის ტანი აქვს, იმ სიგრძეა ნისკარტიც. ბურტყელ-ბუმბული მხიარული ფერისა აქვს და მზის სხივებზე ისე ეღვარება, როგორც ძვირფასი თვლები. ბუნების გამო მეძიებელნი ამბობენ, კოლიბრზე უფრო ლამაზი თავის ტანადობით და ფერადობით ცხოველებს შორის არაფერი მოიპოვებო. ძვირფასი თვლები რომ გაუთლია შეაღმასეს და აუღვარებია ისე, რომ იტაცებს მნახველის თვალს, იმ თვლებსაც არ შეუძლია სირბუზთან შედარება. ბუნებას სწორედ უჯობნია ჩვენთვის და იმისთანა რამე შეუქმნია თავის სახელოსნოში, რომელც სამოთხიდან მოსულსა ჰგავს. ვინ არის, რომ არ გააკვირვოს კოლისბრის ნახვამი.. აი, რაღაცამ გაივლვა ჩვენი თვალის წინ, თითქო ცისარტყელას მოსწყვეტია ერთი ნაჭერი და ეღვის სისწრაფით დაეშვა ძირს ყვავილ-მდელოთი შემოსილ დედამიწისაკენ. იგი თვალის დახამხამების უმალ გაჩნდა ყვავილებთან, დაუწყო მათ, ხან ერთსა და ხან მეორეს ნექტარის წუწნა, რომ ჩაიტკბანუროს პირი. ერთი შეხედეთ, რა ლამაზია ლალისფერი ჩიტუნია!.. აი ახლა უყურე,

ფერი იცვალა და ბეჭემნდათ*) ელვარებს.. შეხე—შეხე, ახ-
ლა ზურმუხტათ გადაქცეულა და კიდევ უფრო აუფერადებია



*) თფვისი, ძვირფასი ქვა არის.



მრავალფერი ყვავილები!.. ეს რაღა არის?.. იგივე ჩიტუნია ახლა ძვირფას ოქროსავეთ კაშკაშებს?.. — არსად მოიძებნება დედამიწაზე ფრინველი უფრო ლამაზი მოყვანილობისა, უფრო აფერადებული და უფრო მრავალგვარი, ვიდრე კოლიბრიაო, ამბობს ბუნების-მეტყველი ბურმესტერი. ამ მშვენიერების დაფასება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც მის სამშობლოში, ამერიკაში, თავის თვალთ ნახავსო კოლიბრს.

სირბუზის კვერცხი არის პატარა, მუხუდოს მარცვლის ოდენა, ხოლო ახლად გამოჩეკილი ბაბალა მისი ჩვეულებრივი ბუზის ოდენა არის, მეტი არა.

სირაქლეში სცხოვრებს აფრიკის ქვიშოვან უდაბნოებში. დიდი ტანის ფრინველია; გრძელი ფეხები აქვს და გრძელი კისერი. ამაზე უდიდესი ფრინველი არ მოიძებნება დედა-მიწაზე. თავი პატარა აქვს და თავ-კისერი ტიტველი. სიმაღლით ოთხი აღლია. ადამიანზე ბევრით უფრო მაღალია და სულ აღვილად შეუძლია ცხენოსან კაცს ასწვდეს და ნისკარტი თავზე დაადოს. მთელი სხეული იწონის სამ ფუტს. ტანსა აქვს კვერცხის მოყვანილობა და შემოსილია შავი მოელვარე ბურტყლითა. *) კუდზე და ფრთებზე უფრო დიდი და უფრო რბილი ბურტყლ-ნაკრტენები აქვს. ფეხებზე ორ-ორი თითი ასხია. ფრენა სულ არ იცის სირაქლემმა, მაგივრად გაქცევა შეუძლია ისეთ ნაირად, რომ გაქენებული ცხენი თუ დაეწევა-ლონიერი ფრინველია. შეიძლება შეჯდეს ადამიანი, როგორც ცხენზე და იმგზავროს. ბურტყლ-ნაკრტენის სინაზე და სილამაზე ცუდს სამსახურს უწევს სირაქლემსა. ეს არის სულ მიზეზი, რომ სირაქლემებზე ჰნადირობენ. მანდილოსნები რომ თავის შლიაპებს კობტად მორთავენ ხოლმე სირაქლემის ნაკრტენებით, იმ ღროს სრულიადაც არ ჰფიქრობენ იმას, რომ მათი კოპწიაობისათვის ამდენი სულიერი იყლიტება.

სირაქლემებსა სჩვევიათ გუნდ-გუნდათ ცხოვრება. რამდენიმე ერთად მოიყრის თავს და ერთი მეორეს არ შორდება.

*) შავ ბურტყელს გარდა თეთრიც ასხია მამალ სირაქლემს ფრთებზე და კუდზე, ისეთი თეთრი, როგორც თოვლია. დედალი სირაქლემი უფრო ნაცრისფერია; ფრთები და კუდი მოშავო აქვს; ალაგ-ალაგ თეთრიც ურჭვია.

მოგზაურები მოგვეითხრობენ, რომ სირაქლელები ხშირად არიან ხოლმე ქურციკებისა და ჯილფების ჯოგთან ახლოს და ერთად



სძოვენ ბალახს.—ჯილფი არის გარეული ცხენი აფრიკისა, ზოლებიანი, ლამაზი. ახლა არ იკითხავთ, რა უნდათ სირაქლელებს ჯილფებთან და ქურციკებთან? მათი ამისთანა განწყობილობა აიხსნება მით, რომ ეს მეზობლობა ორივესათვის სასარგებლოა — როგორც ჯილფებისა და ქურციკებისათვის, ისე სირაქლელებისათვისაც. იმის წყალობით, რომ სირაქლემი მაღალი ფრინველია და გრძელი კისერი აქვს, იგი ძალიან შორს იხედება, რამდენსამე ვერსტზე შენიშნავს, თუ რამ ხიფათი მოეწოდოს მტრისაგან. მაშინ სირაქლელები მაღლა დაიყოლიებენ ხოლმე (დაიღრიალებენ) და მოჰკურცხლავენ, რაც ძალი და ღონე აქვსთ; გარბიან მათთან ერთად ქურციკებიცა და ჯილფებიც ისეთის სისწრაფით, რომ სულ გაეკვრიან დედამიწას. ასე გადაირბენენ თვალუწვდენელ უდაბნო ველებს და უშველიან თავის თავს. საკვირველი ის არის ამ მეგობრობაში, რომ სირაქლელები კი არ ეტორღილებიან ჯილფებს და ქურციკებს, პირიქით თითონ ჯილფები და ქურციკები ცდილობენ სირაქლელებთან დაახლოებას და მოდიან მათთან. ეტყობათ მიხვედრილნი არიან, რომ სირაქლემის ტანის სიმაღლე და მხდალობა ძალიან გამოსადეგია მათთვის. თუ ვინიკობაა მტერი ისე ახლოა, რომ გაქცევა აღარ შეიძლება, მაშინ ჯილფები თავს გამოიდებენ ხოლმე სირაქლელებისათვის, წინ ჩამოეფარებიან და ტლინკების სროლით იგვრებენ მტერსა.

სირაქლემი რომ უდაბნოს შვილია, მით ეტყობა, რომ იგი გემო გარჩევით (როდღი ეძებს საზრდოს: აქლემისა არ იყოს მცირეზე კმაყოფილია. საზრდობს ნარ-ბალახით, მარცვლებით, სხვა და სხვა პატარ-პატარა ცხოველებით და, თუ ძალიან მო-შივდა, ქვიშასა და კენჭებსაც გადაჰყლაპავს, თუმცა, რასაკვირველია, კენჭებითა და ქვიშით გაძლომა შეუძლებელია. სირაქლემი უქკუო ფრინველია, ან და რა ქკუა უნდა ჰქონდეს იმ სიდიდე ფრინველს იმისთანა პატარა თავში! სულ აქეთ-იქით დაეხეტება, სულ საქმელს ეძებს; რომ გაძლება, დაიძინებს,— ხან ზეზეულს სძინავს, ხან მწოლარეს. რომ გამოიძინებს, შემდგომ წყლის დასალევათ მიდის, ტანსაც დაიბანს ხოლმე და მერმე ხელახლავ მიდის ველში საძოვრათ.

კვერცხის დადება იცის სირაქლემმა პირდაპირ ქვიშაში; ვაჰქექს ხოლმე ქვიშას და ის არის მისი ბუდე. რამდენიმე დედალი ერთსა და იმავე ბუდეს ჰხმარობს; ყველანი ერთად დასდებენ ორმოცამდე კვერცხს, რომელთაც ხან ერთი აზის, ხან მეორე. დღისით, როდესაც უფრო ცხელა, დედალი სირაქლამები თავს ანებებენ ბუდეს და მიდიან საზრდოს საშოვრათ. მაშინ მათ მაგივრად მზის სხივები ააბობს კვერცხებს და აშხადებს გამოსაჩეკათ. ღამით-კი მამალი სირაქლემი აზის კვერცხებს და იმავ დროს იცავს კიდევ მტრისაგან. თითო კვერცხი სამი გირვანქა მოდის და შათმისას უდრის ოცდა ოთხს კვერცხს. ოთხი მშვიერი კაცი სრულიად დაკმაყოფილდება სირაქლების ერთის კვერცხითა. კვერცხებს რასაც დასდებენ, ყველა იმისთვის კი არ უნდათ, რომ ქუჭულები გამოსჩეკონ, — არა, რამდენიმე კვერცხს ბუდესთან შეინახავენ ხოლმე ახლოს, რომ მით ასაზრდოონ ახლად გამოჩეკილი ქუჭულები, რომელნიც ტანათ დრდი შათმისიადენა არიან. კვერცხის ნაქუჭი იმდენად მაგარია, რომ აფრიკაში ბევრ ადგილს ქუჭულებათ ჰხმარობენ.

ყველაზე უფრო საშიში მტერი სირაქლემისა ადამიანია რომლის მიზანი არის მოიპოვოს მათი მოელფარე ბურტყულნაკრტენები. სირაქლემებზე ნადირობა ორნაირია: ცხენდაცხენ დევნა მათი და მიპარვით ნადირობა. ცხენდაცხენ დევნა ის არის, რომ მონადირეები შეჯდებიან ძალიან ფენმარდ ცხენებზე და დაედევნებიან უკან სირაქლემების გუნდსა; ჰცდი-



ლობენ თავი დაუარონ და გარს შემოერტყან. სირაქლეებმა რაც ძალი და ღონე აქვსთ, გაუზრბიან მტრებს. საწყლები ხან იქით ეცემიან, ხან აქეთ, ბოლოს, რო მოიქანცებიან, მონადირეები თავს დაუვლიან და შუაზე მოიძწყვდევენ. მერმე ადვილია მათი ხელში ჩაგდება. თავებს გაუტყენ, — დაჰხოცენ ყველას. თავი ძალიან სუსტი აქვს სირაქლემას და, როდესაც მტერი დაესხმის, პირველად ყოვლისა იმას სცდილობს, როგორმე თავი დაჰშალოს. მეორე ნაირი ნადირობა იმაში მდგომარეობს, რომ მონადირე დაიკრავს მხრებზე ბალიშებს, რომლებზედაც დარქობილია სირაქლემის ბურტყულ-ნაკრტენები. ამგვარად მორთულს ბალიშებს იმისთანა მოყვანილობა აქვსთ, რომ სირაქლემის ტანსა ჰგავს სულ. ერთს ხელში დაიჭერს გრძელ ჯოხზე ჩამოცმულს სირაქლემის თავ-კისერს, ხოლო მეორეში მშვილდ-ისარს; ფეხებს თეთრად შეიღებავს, როდესაც დაამზავს სირაქლემის ფეხებს. ამ სახით მორთული ადამიანი წარმოადგენს სირაქლემის საფრთხულს (ე. ი. მის სხეულის მსგავსს).

სირაქლეები უდარდელათ მიმოდინა გაშლილ ველებზე. მათ ფიქრშიაც არ მოსდით, რომ მტერი ვინმე უახლოვდებათ. მიმოდინა უდარდელათ, ამაყათ; ხანდისხან ფრთებს შეარხვევენ ხოლმე და გაათვარვარებენ ჰაერში თავის ღამაზ ბურტყულსა. რაც იციან საწყლებმა, რომ ეს ბურტყულია, და სწორეთ ეს ღუპავს მათ. საფრთხული ნელ ნელა უახლოვდება სირაქლეების გუნდსა. ხანდახან დაჰხრის ხოლმე ძირს თავს, ვითომ ბალახსა სწიწკინის. ხან ერთს მხარეზე გაიხედავს, ხან მეორეზე; ხან ცოტაზე გაირბენს, შეჩერდება და ფრთებს ააფათქუნებს. სირაქლეები სრულიად ყურადღებას არ აქცევენ: თავის მოძვე ჰგონით. პოლოს რომ მიუახლოვდება კარგად, უცებ მოჰმართავს მშვილდ-ისარს, სტყორცნის და მოჰკლავს ერთს მათგანს. ამ დროს სხვები შეშინებულნი გარბიან, რაც ძალი და ღონე აქვსთ, მაგრამ მონადირე კიდევ მოასწრებს სროლას და მოჰკლავს კიდევ ერთს ანუ ორს.

ამ ბოლოს დროს თანდათან თავს ანებებენ შეუბრალებელ ჟღერს სირაქლეებდას; ცდილობენ ცოცხლათ ჩაიგდონ ხელში და მოაშინაურონ, რადგან სირაქლეები ადვილი მოსაშინაურებელია. ცხელ ქვეყნებში ბევრგან შეხვდებით ხა-


ლა შინაურ სირაქლემებს. ეს უფრო ხელ-საყრელი ხელიობა შეიქნა, ვინემ უწინდელი ნადირობა, როდესაც უწყალოდ ჰხოცდენ მათ. მოშინაურებულ სირაქლემებს თავთავის დროზე გაბრტყვიან ხოლმე და აგროვებენ ბურტყულ-ნაკრტენებს. დიდი სარგებლობა მოჰყვა ამ ფრინველის მოშინაურებას სამხრეთს აფრიკაში. 1882 წელს თურმე თერთმეტი მილიონი მანათის ბურტყულ-ნაკრტენი გაუტანიათ ვაჭრებს ამ ქვეყნიდან. კანონის ძალით, უცხოელი თუ ვინმე მოინდომებდა ცოცხალი სირაქლემი ეყიდნა და წაეყვანა მოსაშენებლათ თავის ქვეყანაში, ერთს სირაქლემზე ათასი მანათი ბაჟი უნდა გადაეხადა, ხოლო კვერცხების გამტანს თითო კვერცხზე ხუთი თუმანი ჰხდებოდა ბაჟი.

ბურტყულ-ნაკრტენს გარდა სირაქლემი სასარგებლო ფრინველია კიდევ მით, რომ იმ ქვეყნის მცხოვრებნი კვერცხს მისას და ხორცს საკმელათ ჰხმარობენ. ახალი სირაქლემის ხორცი ძლიან ჩვილია და გემრიელი, ძველისა-კი უფრო მაგარია და გემო იმისთანა აქვს, როგორც ხარის ხორცს.

ალექსი ჭიჭინაძე.




გემის „ტიტანიკის“ დაღუპვა.



ტიტანიკი ისეთი დიდი და უშველელ-
ბელი გემი იყო, რომ ჯერ იმოტო-
ნა გემი ქვეყნიერობაზედ არავის ენა-
ხა. იმის აშენება რამდენიმე მილიონ-
ნი დაჯდა და საუკეთესო ამერიკელ
და ინგლისელთა ინჟინერებისგან იყო
ნაგები. სიგრძე ას-ათი საფეინი ჰქონ-
და და სიგანე 70. რვა სართული ჰქონდა და იტევდა თით-
ქმის ერთი პატარა ქალაქის ოდენა მცხოვრებთ, ორი ათას
კაცზედ მეტს. მარტო მოსამსახურეთა რიცხვი „ტიტანიკზედ“
რვა-ას კაცამდე ყოფილა და ეს უშველელი ვეშაპი ძრიელ
დიდის სიჩქარით მისრიალებდა ატლანტიის ოკეანოზედ ინგ-
ლისიდან ამერიკაში. „ტიტანიკი“ დიდად მდიდრულად იყო მო-
წყობილი. კაცს აკვირვებდა იმის მშვენიერება, იმისი დართუ-
ლი ოთახები, დიდროვანი დარბაზები საცეკვაო და გიმნასტი-
კისა, ბაღები შადრევნებით, აბანოები, საცურაო აუზები. მე-
ტადრე მდიდრულათ და გემოვნებით მორთული იყო სასადი-
ლო დარბაზი, სადაც ათასი კაცი დღეში რამდენჯერმე შეექ-
ცეოდა უძვირფასეს სანოვაგეს, მიირთმევდა შამპანურს და
თან მუსიკის სმენით სტკებოდა. ყველა ამ მოწყობილებას და
სიმდიდრის გამო მოგზაურობა ძრიელ ძვირად ღირდა „ტიტა-
ნიკზე“ და დიდად მდიდარი ხალხი მოგზაურობდა მასზე.
ეს უზარმაზარი გემი, შესანიშნავის ხელოვნებით ნაგები
და ტექნიკურათ შეურყეველი სრულიად მოულოდნელათ შემ-
თხვევის მსხვერპლი გახდა და თავისის ორი-ათასის მცხოვრე-
ბით და უთვალავი სიმდიდრით სულ ორი საათის განმავლო-
ბაში ოკეანის უპსკრულმა შთანთქა.
ამბობენ დაილუპენ რამდენიმე მილიარდერი, რამდენიმე
მილიონერი და აუარებელი წარჩინებული საზოგადოება, მათ
შორის ბევრი მწერალი, არტისტი, საზოგადო მოღვაწე და
გამოჩენილი მოგზაური. ქალები და ბავშვებიც ძრიელ ბევრნი
იყვნენ გემზედ.

აი რას მოგვითხრობს ერთი ფრანგი მოგზაური იმ ლბე-
დურების წამხედ, როდესაც „ტიტანიკი“ დაეჯახა თითქმის
მთელი მაზრის სივრცის ყანჯლის მთას, რომელიც ოკეანო-
ზედ მოცურავდა.

„ლამის თერთმეტის ნახევარი იყო. მე და რამდენიმე კა-
ცი ძვირფასათ მორთულ სასტუმროში ქაღალდს ვთამაშობდით.
და თან „პივოს“ შევექცევოდით, უცებ გემი შეირყა თუმცა
ისე მცირედ, რომ წინ დადგმული ჭიქები არც კი შენძრე



გემი „ტიტანიკი“

ულან, მაგრამ ჩვენ მაინც შევკრთით და ფეხზედ წამოვცვივ-
დით, ფანჯარასთან მივირბინეთ და ზღვას დაუწყეთ ყურება,
მაგრამ ზღვაზედ ისეთი სიბნელე იყო, რომ ვერაფერი გავარ-
ჩიეთ. იმ დროს გემის „კაპიტანი“ დავინახეთ, რომელიც აღელ-
ვებული გიჟივით ჩარბოდა გემის ვიწრო კიბეებზედ. მეც საჩ-
ქაროთ გავყე უკან. ქვემოთა სართული უკვე ერთ ადღზედ
წყლით იყო სავსე. კაპიტანი საჩქაროთვე ამოიჭრა ზემოდ და
იქ ბაქანაზედ შეგროვილს ხალხს გამოუცხადა: „ბატონებო,
დავიღუპენით. რამდენიმე საათის შემდეგ გემი დაიძირება“ და
გაქანდა ბრძანების გასაცემათ, რომ გემზედ მიმაგრებული ნა-
ვები შეემზადებინათ ხალხის გადასასხმელათ. რამდენიმე წამის
შემდეგ ნავები მზად იყო და რიგზედ ჩამწყვრივებულმა მე-
ზღვაურებმა ბრძანების შესრულება დაიწყეს. „ბავშვები და
ქალები წინ, კაცებო ჩამოდექით“ ყვიროდნენ ისინი და დამ-
ფრთხალ, გონება დაკარგულ, ნახევარზედ ტიტველ-შიშველ

ქალებს და ბავშვებს ნავებში სხამდნენ და ზოგაზე უშვებდნენ. გემის ზემოთა ბაქანზედ საშინელი არეულობა იყო: წივილი, კივილი, თავში ცემა... ყველა იბრძოდა ნავეში ჩასაჯდომით, მაგრამ კაპიტანის ბრძანება შეურყევლათ სრულდებოდა.

12 საათი იყო, როდესაც ბაქანზედ ამოვიდა ახლად გაღვიძებული და ხალათში გახვეული ჩემი ნაცნობი მილიონერი. მე შევჩვილე ჩვენი უბედურების ამბავი.

— რა გაეწყობა, მომიგო რმან სრულიად დამშვიდებით. — მე უკვე მოხუცი ვარ და ჩემი დრო მომიჭამია! თქვენ მებრალეებით, რომ ჯერ სულ ყმაწვილი კაცი ხართ და ასე ტრაგიკულათ უნდა გამოესაღმოთ სოფელს!

— მე, განაგრძობს ფრანგი თავის ამბავს, — ბაქანის მოაჯირს გადავეყუდე და ვფიქრობდი იმაზედ, თუ როგორ მომესპო ჩემი სიცოცხლე უტანჯველათ. ამ დროს, სწორედ ჩემ ქვემოდ გეჰიდან ზღვაზედ ეშვებოდა ნელა-ნელა ხალხით სავსე ნავი; მე მოუფიქრებლათ გადავხტი და შიგ უვნებლათ ჩაფარდი და ამ რიგად მოვეყე იმ ქალთა და ბავშვთა შუა, რომელნიც ნავეში ჩასხდომის ღირსნი გამხდარიყვნენ.

ზღვა მთლად ყინულით იყო გათოშილი და ჩვენი ნავები დიდის სიფრთხილით ცურავდნენ მათ შორის საშინელი ბნელი ღამე იყო, თვალით არათფერი სჩანდა. მხოლოდ „ტიტანიკი“ იყო ელექტრონით გაჩირალდებული და მაზედ მუზიკა უკრავდა მზიარულ მარშს „მზიარულის ქვრივიდან“.

ნავეში მსხდომნი სიცივით იტანჯებოდნენ, კანკალებდნენ. ზოგ იმათთვის უბედურებას ლოგინში მოესწრო და ჩაცმისა ველარა გაეგო-რა, ზოგი კი გულამოჭრილი საბალო კაბებით იყვნენ, იმ კაბებით, რომლებშიაც უდარდელათ ცეკვამდნენ გემის საცეკვაო საღამოზედ კატასტროფის დროს. დიდხანს დავცურავდით უგზო-უცვლოთ. „ტიტანიკი“ კი ნელ-ნელა იძირებოდა და იქ დარჩენილთა საშინელი გონების შემრყევი ხმაურობა, მუსიკის ხმასთან შეერთებული, მოგვესმოდა. ორი საათის შემდეგ ის სულ გაჰქრა ზღვის პირიდან და ჩვენ მოგვიცვა უარესმა სასოწარკვეთილებამ. ქალები ტიროდნენ, ლოცულობდნენ, შესთხოვდნენ ზეცას შებრალებას...

ოთხის ნახევარი იყო, როდესაც შორს, შორს ყინულების მთებ შორის პატარა მწვანე შუქი დავინახეთ. შველის

იმედმა გაგვიელვა, მაგრამ მწვანე შუქი, ისევ მალე მივეფარა და სასოწარკვეთილება გაგვიათასა. გოდება, ტირილი კვლავ გაისმა... რამდენიმე ხნის შემდეგ მწვანე შუქი—კვლავ გამოჩნდა და თან გემის საყვირის ხმა მოისმა. ეხლა კი ეჭვი აღარ იყო, რომ გემი მოდიოდა ჩვენ საშველათ და ყველანი გაუმხნევლით, შევიკრიბეთ ძალი და ღონე და მოთმინებით მოველოდით შველას.

მალე მოგვიახლოვდა გემი „კარპატია“ და ვინც კი ნავებში იყო სუყველანი შეიხიზნა და მშობლიური პატრონობა აღმოუჩინა.

გადარჩნენ მხოლოდ 780 კაცი, დანარჩენი ათას სამასი კაცი კი „ტიტანიკთან“ ერთად სამი ვერსის სიღრმეზედ ჩაიძირა ატლანტიის ოკეანოში და ამ საშინელმა ამბავმა შეაძრწუნა მთელი ევროპა და შავით და ბნელით შემოსა ამერიკელთა და ინგლისელობა მრავალი ოჯახობა.

ექ. გ—ისა.



მტკვარი, ჭოროხი და რიონი.

ამათ სათავეთა ბუნება და ხალხი.



(მგზავრის დღიურიდან)

ემდეგ საკამათო საგნათ შეგვექმნა ელვა-ქეჟა და დღევანდელი მების ჩამოვარდნა, ბოლოს მეტად უცნაური რამ შემთხვევა გვიამბო ჯავახელმა გლეხმა:

— მე, ჩემო ბატონო, — დაიწყო ჯავახელმა — და მყავს გათხოვილი ახალქალაქში. ეი და, სტუმრათ, ელიობა დღეს, ჩემს დასთან, სარასთან გახლდით. სადილთ უკან, ასე საათის სამი თუ იქნებოდა, დაიწყო

ავდარი და ისეთსას ელავდა და ქუხდა, რომ ლამის ქვეყანა ინგრეოდა. ჩავხურეთ კარი-ფანჯარა და ყველანი შიშით ვწრწოდით...

წვიმამ თითქმის გადილო კიდევ, მაგრამ ელვა-ქუხილმა უფროც უმატა. . უეცრივ, აი დასწყევლოს სამას სამოცდა სამმა წმიდა გიორგიმ, — ეხლაც რომ მაგონდება, შიშის ჟრუანტელი მივლის მთელს ტანში. ე და, იმას მოგახსენებდით... უეცრივ მელიას გუდასავით, გაგრძელებული რაღაც შემოფრინდა სახლში, ერთი კი ციბრუტი შემოუარა და წამსვე ხარის ბუშტივით დამრგვალდა. ისე მშვენიერი ფერადებით ელვარებდა, როგორც დღევანდელი ცისარტყელა. აი დასწყევლოს ღმერთმა!.. გულები დაგვიხეთქა, სული გავტრუნეთ, გაუშედით, ამოსუნთქვისაც კი გვეშინოდა. ბავშვები ჰირკვე წაწვნენ, ძუძუთა ბავშვს კიდევ რკინის კრაოტში ეძინა, ძლივს შევასწართ თვალი, ი ბუშტი ბავშვს კრავატს ქორივით დააფრინდა — გაგრძელდა, კრაოტის რკინას სალტასავით შექრტყა, მერე სწრაფად ასხლტა, ბუშტათვე გადიქცა და



ერთი კიდევ საღტეთ იქცა, კიდევ კრაოტს შექმნებდა, — უკვდება დედას გული, მაგრამ როგორ გაინძრეოდა. ბუშტმა დაანება კრავატს თავი, იპრიანა ღმერთმა, ფანჯარაზე წინდის ჩხირები ეყარა, ახლა ამ ჩხირებს თავზე დასტრიალებდა; აქედან ოთახში ჩამოკიდულ ტანისამოსს გაუარა, მერე გავიდა დერეფანში და ის იყო და ის. ცოტა რო გონს მოვედით, ერთი წამიც და ცამ ისეთის ძალით იქეჭა, რომ ცოტას დარჩა ფანჯრები სულ ჩაგვიღეწა. თურმე ნუ ბძანებთ, იმ ბუშტმა ჩვენიდან გაფრენილმა, სატუსალოს გაუარა, ქაღაქ გარეთ გაფრინდა და სასაფლაოს ახლო ისეთის საშინელის ძალით იქეჭა და გასქდა, რომ იქვე ახლო ხარი მოკლა. ღვთის მადლით ასე გადავრჩით. ეჰ! კაცს როცა არ უწერია, თავს არ გადახდება, ახლა ჩვენ ის გვიკვირდა, საიდან შემოატანა ი ელვის ბუშტმა ოთახში. სიძე წისქვილში იყო და რო ზოვიდა ის მაშინათვე მიხვდა. იმ ღროს დერეფანს ახალ კარს უშენებდა და ი ზემოთ კედელთან დაყოლილ პატარა სანათურში ჯერ მინა არ იყო ჩასმული. ყოველივე ეს რაც გაიმბეთ სულ რაღაც ერთს წუთს მოხდა...“

ჩვენ რო სამეცნიერო ბაასში ვიყავით გართული, იმ დროს თურმე სოვდაგარი, პარონ ხაჩატურა, ჩვენთვის ზრუნავდა. ორი სუკი, ცხვრის ფარში გახვეული, შამფურზე აცმული, სამწვადე ცეცხლზე შიშხინებდა, ტრიალებდა. მე ხშირად მიმოგზაურია ვაქარ ხალხთან. შესანიშნავ თადარიგით იციან მოგზაურობა, — ამათი ხურჯინი ნამდვილი საკუქნაოა. ბართლაც და უადგილო ადგილს ხოლმე მშვიერი დარჩება კაცი.

გაჩნდა ხელად არაყი, კონიაკი და თავი და თავი ცხელცხელი მცვრიანი მწვადი... ნათქვამია: „ცხელი პურის სუნი მკვდარსაც მიუაო“... ჩემის აზრით კი ამ სურნელოვან შიშხინა მწვადს სამოთხეშიაც-კი არ დაიწუნებდენ. შესანიშნავი თვისება აქვს საზოგადოთ მთის ჰაერს — ღღეში რო ხუთჯერ ჭამო, მაინც კიდევ მაღა გეხსნება!... ერთი ხელობა სუფრას ძრიელ შეუტყის ახლათ მოსულებმა — მგლებივით ყლაპავდენ საკმელს. პირველი აღტაცება რო შესუსტდა, პარონ ხაჩატურამ ჩაიღო კალათაში კახური ტიკქორა და სადღეგრძელოებიც გაჩაღდა...“

ავი ითქვა, კარგი ითქვა, ამ მთისა — იმ მთისა. როგორც
თავით, ხაჩატურ — აღამ სიტყვა ითხოვა...

— კნიაზჯან! პარონებო, თუცე პრავა არა მაქვს, ვინემ¹
ყველაწმიდას ვადიდებდეთ, ვენაცვალე იმის მადლს, მე ვთხოვ
ჩვენ კაპანისას, ერთი შესანდობარი მიირთვათ — მეც მინდა
გვიამბოთ ერთი ხიფათი, მეხის ონი... ეს ღმერთმა სასუფევე-
ლი დაუმკვიდროს მიხაკას.. (აილო პური და ზედ ღვინო და-
აწვეთა) შეუნდოს მიხეილ ბეჟანიჩს. ღვთის წინაშე ძმა-ბიჭი
იყო, პურ-მარილის კაცი.

— თუმცა არ ვიცნობდით, მაგრამ კარგ კაცს ღმერთმა
შეუნდოს... ყველამ შესანდობი დავლიეთ...

— ბრძანე, ბრძანე ხაჩატურ-აღა...

— ამის ზედაშის მადლმა (ღვინოზე გვანიშნა) რასაც ვამ-
ბობ მართალია... ამ სამი წლის ადრე მიხეილ ბეჟანიჩმა, ცხო-
ნებულმა, თავის ვენახში არტალაზე დაგვპატიჟა ავჭალაში.
იციოთ რაღა, ქალაქის ხალხი სიცხით ვიწოდით და ვინაც ჭკუა
აქვს კვირა-უქმებზე სოფლათ გარბის. ხეივანში ვისხედით სუ-
ფრაზე, ყურძნის მტევნები ზედ თავზე გვეკიდა. კარგა რო
შევზარხოშდით ერთ წამს დაიქუხა. ავიხედეთ და ცაზედ ღრუ-
ბლები მოგროვებულოყო ზემო-ავჭალისკენ. ერთიც რო დაი-
ქუხა ცხონებული მიხაკა სუფრიდან წამოხტა...

— „ვინავათობისთვის“ შტრაფს დავლევე, მაგრამ უჩემო-
ბა არ იქნებაო. . იქ უნდა არხი გადაუდლო, თორემ ფოტის
გზიდან ნიაღვარი მოვარდება და ახალშენ ვაზებს დამიღუპავ-
სო...

„წამოიდრო მხარზე თოხი და ზემო ვენახისკენ გასწია. —
თქვენ ბრძანეთ კაცს რო წერა აიტანს, იმ წამს ზედ ვენახზე
ერთი ძრიელ დაიკრიალა, იქეკა და მეხიც ჩამოვარდა, ყვე-
ლანი წამოვხტით. . ერთიც ვნახოთ მებაღე გულ-გახეთქილი
მორბის...

— ჰუ, რა იყო აღამია? .

— არიქა, თქვენი ჭირიმეთ, გვიშველეთ.. ხაზინს მეხი
დაეცა...

„ყველანი ავცვივდით სუფრიდან, მაგრამ ის თქვენს მტერს
რადას უშველიდით. თურმე თოხი მხარზე ედო, როცა გო-
რაკზე აღიოდა... აი ამას იმიზეზებენ დოხტურები... მეხს სწო-



რეთ უკანიდან დაუკრავს თოხის რკინისთვის და მერე მიწაში წასულაო... მართლაც და ცხონებულს უკანიდან, წელ ქვევით სულ შეტრუსულიყო და ნატისუსანი ასდიოდა. საკვირველია, თითონ ცხონებულს ტანზე ნაკაწრიც კი ვერსად უპოვეს...

„მას მერე ძრიელ მეშინიან ქუხილისა და, კნიაზჯან, შენ რო დაიძახე: გაჩერდით, ჩამოხტით ცხენიდანაო—აკი პირველი მე გავეკარ დედამიწას.“

ყველამ სიამოვნებით ვადღეგრძელებთ ხაჩატურ-აღა...

იმის დასამტკიცებლათ, რომ მეხი მართლაც ძრიელ ეტანება რკინას, ქუთაისელმა დაუმატა:

— ამ რვა-ცხრა წლის წინეთ ჩვენში დიდი ჯებედურება დატრიალდა. დაბა ხონში ქალაზე სამნი ძმანი ყანას (სიმიდს) თოხნიდენ. სადილათ რო დასხდენ თოხებიც გვერდზე ეწყობთ. წამოუარა ღრუბლებმა, ასტყდა ელვა-ქექა-ქუხილი, დაეცა თოხებს მეხი და სამივე ძმაც იქვე წუთი სოფელს გამოასალმა.

— ბატონებო! განაგრძო ჩვენმა ლექტიორმა, აქ რაც რომ ითქვა—სრული ჭეშმარიტებაა. ყოველივე რაც კი რამ ელვა-მეხს ჯებედურება ჩაუდენია ჩაწერილი აქვსთ მეცნიერებს და მთელი წიგნებიც არის გამოცემული. მეცნიერებას გამოკვლეული აქვს სამ გვარი ელვა: 1) არის ელვა ცეცხლის ხაზივით რო გაჰკრავს, ძრიელის ელვარებით გველივით რო იკლავება და მერეც მრავალ ნაკადულებათ რო გარბის, 2) უეცრივ იფეთქებს, აინთება—აპრიალდება იქვე განეთხრობა, წითლათ ანუ იისფერათ გააშუქებს და იქვე ადგილობრივ ქრება. 3) ეს მესამე გვარი ელვა ყველაზედ უსაშინელესია. სწორედ ისაა ჯავახელმა რომ გვიამბო. ღრუბელსა და დედამიწის შუა გაჩნდება ხოლმე ცეცხლას ბუშტი, უფრო ხშირათ მოყვითალო—წითელი ფერისაა და გარსაც შუქი ადგია. მიხვეულ მოხვეულათ მოძრაობს, ზოგჯერ სწრაფათ და უფრო კი იმდენათ აუჩქარებლივ, რომ გაქცეული კაცის ოდენათ მიფრინავს. ელვის ბუშტს შეუძლიან სახლში შევარდეს თუ კი საიდანმე თუგინდ მუშტის ტოლა, შესავალი იპოვა, ამ დროს გავრძელება და შემდეგ ისევ მრგვალდება, ზოგჯერ უმნიშვნელოთ ჰაერშივე ქრება და ხშირათ კი საშინელის ჭექით სქდება.



ელვა იგივე ფიზიკური ზოვლენაა, ელექტრონიული ძალაა, რომელიც დააკვესება ანუ ზარბაზანივით დაიცილება ხოლმე ორ ღრუბელთა შორის, ანუ ერთსა და იმავე ღრუბლის ნავლევჯთა შუა. ან კიდევ დედამიწის და ელექტრონით გაედენთილ-გატენილ ღრუბელს შუა. ყველაზედ პირველად მეცნიერმა ბენიამინ ფრანკლინმა დაამტკიცა 1752 წელს, რომ ელვა ელექტრონის ძალაა და სხვა არაფერი. მაშინ მთლად ამერიკის და ევროპის მეცნიერნი შეუდგენ ფრანკლინის აზრის გამოკვლევას, განხორციელებას. ბევრი მოწინააღმდეგეც აღმოუჩნდა და მეტადრე სასულიერო წოდების გავლენიან პირთა შორის. 1753 წელს მარიამობის თვეში მეცნიერი აკადემიკოსი რიხმანი გამოცდის დროს პეტერბურღში ელვის ელექტრონის ნაპერწკალმა მოჰკლა, ამ სხვერპლმა ბევრი მეცნიერი ქვეაზე მოიყვანა, მიხედნენ, რომ ელექტრონი არა ხუმრობსო.

ფრანკლინის აღმოჩენამ ის დიდი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას, რომ ეხლა ყველგან მართავენ მუხის ასაწყდენ მართულებს. ყველა მაღალ შენობის, ციხე-კოშკს, საყდრებს, თოფი-წამლის საწყობ შენობებს უეჭველათ უკეთებენ მუხის ასაყდენს. ამ გვარ შენობას თავზე ისარივით მწვეტიანი რკინის სქელი მართული ურჭვია, მართულს ბოლო შენობის კედელ-კედელ მიწაში ჩადის, ჩამარხულია, მუხი ჰაერში ატყორცნილ მწვეტიან რკინას დაჰკრავს ხოლმე და მართულში ჩარბის, მიწაში ჩადის, შენობა კი უვნებლათ რჩება.

ბენიამინ ფრანკლინი ამერიკელ უბრალო მესანთლის შვილი იყო და თითონაც შეელოდა ხელობაში ღარიბ მამას, (ინგლისიდან იყო გადასახლებული), რომელსაც ჩვიდმეტი შვილი ჰყავდა. უსახსრობის გამო მამას არ შეეძლო შვილებისთვის წესიერათ განათლება მიეცა. მაგრამ ყველაზედ უმცროსმა ბენიამინმა მაინც თვით მოქმედებით მეცნიერებაშიაც გაითქვა თავი და საუკეთესო მოქალაქეთაც შეიქმნა. ერთს დროს, როდესაც ფრანკლინი ამერიკის თავისუფლებისთვის იღვწოდა, მთლათ ამერიკა და ევროპა ფრანკლინის მზეს ფიცულობდა.

რამდენათაც ელვაა საკმაოდ კარგათ შესწავლილი, იმდენათ ქუხილი და მისი მიზეზი აქამომდე ვერ არის მეცნიე-

რებისაგან გამორკვეული. ვიცით მხოლოდ, რომ ზაფხულში, ნაშუადღევის საათის ორიდან ექვსამდე, როცა ძალზე ცხელი ჰაერის ნაკადულები ცაში აღის, უფრო ხშირად მაშინ ასტყდება ხოლმე ელვა — ქუხილი. ამასთანავე ქუხილი ყოველთვის ელვის შემდეგ იცის. ელვის და ქუხილის შუა ზოგჯერ წამზე ნაკლები დრო გადის — ამ შემთხვევაში ქუხილის ხმაც მეტათ ძრიელი და ხან მოკლეა, ზოგჯერ — კი რამდენიმე წამი გაივლის ხოლმე — მაშინ ქუხილის ხმაც უფრო სუსტია, ნაკლებია, მაგრამ ხანგრძლივი კია, თანაც ისე გრიალებს და რახრახებს, თითქოს რაღაცას აგორებენო. ზარბაზნის ხმა უფრო შორს მიდის ვიდრე ქუხილისა. მაგალითად 14 — 20 კილომეტრის*) მანძილზე ქუხილის ხმა ვეღარ უწყევს, რაც გინდ ძრიელაც ქუხდეს. რამდენიმე ზარბაზნის ერთბაშით და ხშირი სროლა იმისთანათ გრიალებს, რომ მათი ხმა 70 კილომეტრზე ისმის, თუ რომ ტრიალი მინდორია. — საკვირველია რომ ისლანდიაში, ზამთარში, უფრო ხშირათ ქუხს, ვიდრე ზაფხულში.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)



* ათასი ადგილი უკეთი კილომეტრია.



გეოგრაფიული აძოცანა.

(წამოადგენილი გ. ჯეფხიაძის მიერ)

ავილოთ შემდეგი სიტყვები:

დედა ქალაქი საქართველოში (7 ასოსგან.)

ქალაქი სამხრეთ საქართველოში (7 ასოსგან.)

მდინარე ქართლში (6 ასოსგან.)

ქალაქი ჯავახეთში (8 ასოსგან.)

სოფელი კახეთში (9 ასოსგან.)

მდინარე გარეთ კახეთში (4 ასოსგან.)

ამ სიტყვების პირველ ასოებისგან შეადგინეთიმ ქალაქს სახელი, რომელიც იყო უწინ დედა ქალაქი კახეთისა.

გ ა მ მ ა ნ ა.

ერთ დიდ კაცის ცოლს ოქროს ჯვარი ჰქონდა მთლად ძვირფასი თვლებით მოქედლილი. რამდენი ქვა იყო ამ ჯვარში ქალმა არ იცოდა, მაგრამ ის ერთ თვისებას აქცევდა ყურადღებას. როცა ჯვრის ზემოთა სამი კუთხიდან ჩამოსთვლიდა ქვეით, ყოველთვის ცხრა თვალი გამოდიოდა. ჯვარს შეკეთება დასჭირდა. ქალმა ოსტატი დაიბარა და ამასთანავე მიაქცია იმის ყურადღება იმას, რომ თუ ქვებს ჯვრის სამ ზემოთა კუთხიდან ქვეით ჩამოსთვლის ლექველია ცხრა გამოვა. „აი ამით შემიძლიან შევიტყო ყველა ქვა თავის ალაგას არის თუ, რომელიმე აკლია.“ დაუმატა ქალმა. „განა მარტო ამით შეამოწმებთ რამდენი ქვა არიო?“ ჰკითხა ოსტატმა. „დიად! ეგ სრულებით საკმარისია და, როცა თქვენ დამიბრუნებთ ჩემ ჯვარს, ასევე შევემოწმებ.“ ოსტატმა ამით ისარგებლა, ამოცალა ჯვარს ორი ძვირფასი ქვა, შეაკეთა და მიუტანა პატრონს. ქალმა თავისებურათ დაითვალო და ცვლილება-კი ვერ შეამჩნია. აბა გამოიცანით, როგორ მოახერხა ოსტატმა ორი ქვის მოპარვა ისე, რომ ქალს ისევ ცხრა გამოსვლოდა?



გასართობი.

ერთმა მოგზაურმა დაინახა გზაზე მჯდომი ჩინელი, რომელიც ცხარი ცრემლებით ტირიდა. ეს მჭირალი ძალზე მოსული კაცი იყო: ორმოცდა ხუთისა, თუ ათის წლისა იქნებოდა და ბალღივითა-კი იცრემლებოდა.

— მეგობარო, რა გატირებს, შეეკითხა მოგზაური.


— ოჰ ბატონო! მოუგო იმან,—მაშამ მცემა.

— სასაცილოა ტირილი მაგისთვის მაგოდენა კაცისა, გაიკვირვა მგზავრმა.

— იმიტომ კი არა—ვტირი, მიუგო ჩინელმა მგზავრს,—რომ ნაცემი მტკიოდეს, იმიტომ ვტირი, რომ საწყალი მამადიდ ხანს ველარ იცოცხლებს, მისი მარჯვენა დღითი-დღე ჰკარგავს სიძლიერეს.



რეზუსიხა: სხვისთვის ორმოს მთხრელი არის თავის მტერი-
ასოების ამოცანა: თბილისი.



მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

„სახალხო გაზეთი“

ყოველწლიური საზოგადოებრივი და საღატაკატურა გაზეთი
ამოივალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარ-
სულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებინათ: წლით როგორც ქალაქში ისე
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან.
80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებინა ნომერი (კვი-
რისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერაკით-
ხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Сахалхо газети“.

ПОДПИСКА НА 1912 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную еже-
дневную газету

„Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода	3 р. 50 к.	На полгода	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса горѣдского на иногородній—1 руб., съ ино-
городняго на горѣдской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ цен-
тральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мяс-
ницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ въ С.-Петербурѣ, Большая Мор-
ская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 в. передъ тек-
стомъ и 12 к. послѣ текста.

Редакция и контора помѣщается въ Тифлисъ, на Дворцовой ул.,
въ домъ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчавариани.



ჯ ე ჯ ი ლ ი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.
ოცლა მესამე წელიწადი.

მიიება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ედირება
4 მან, ქალაქ გარეთ (გაგსავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.
ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიძაძრთონ:

- ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძეს.
- ბაქოში—ქალ. მართა კვიციანიძის.
- მინაილოვში—ელად. ჩიქოვანს.
- გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს.
- სამტრედიაში—რაჭუნ ნანეიშვილს.
- თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.
- სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
- ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას
- ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთ „თ ე მ“-ზე

ფასი გაზეთისა:

- წლიურათ 2 მ. 50 კ.
- ნახევარი წლით 2 მ.
- სამი თვით 1 მ.

განცხადებათა ფასი:

- პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ.
- უკანასკნელ გვერდზე 10 კ.
- ტექსტის უუაგულოს 20 კ.

სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მ.

რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დასასმიძე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая, № 6,

დ. დ. ვ. Сараджева, Ред. газ. „თეში“.